სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი 22 ნოემბერი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 50 კაპ.

გაზეთის ფასი: 1 თვით 12 მანეთი ცალკე ნომერი ყველგან 50 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე „მეოთხე გვერდზე“ პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 20 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ სტატიებს მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба“. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 253 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციების № 253

ღრმად დამწუხრებულნი სახალხო გვარდიის არტილერისტები აუწყებენ ამხანაგ-ნაცნობებს, რომ 20 ნოემბერს უეცრად გარდაიცვალა ამხანაგი

**ვალოდია არსენის ძე მუავანაძე.**

გამოსვენება მოხდება 21 ნოემბერს, 41 ლაზარეთიდან, პეტრე დიდის ქუჩა, დასაფლავება სოფ. ბასილეთში (გურია). (4—2)

გულ-დათუთქულნი დედ-მამა ქუქუჯინე და არსენ, შვილებითურთ, ბებია ფიდოსი, ძმები: რაჟდენ, სერგო და ტროფინე, ბიცოლა მარო მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ 20 ნოემბერს უეცრად გარდაიცვალა მათთვის საყვარელი სახალხო გვარდიის არტილერისტი

**ვალოდია არსენის ძე მუავანაძე.**

გამოსვენება მოხდება 21 ნოემბერს, 41 ლაზარეთიდან, პეტრე დიდის ქუჩა, დასაფლავება სოფ. ბასილეთში (გურია). (4—2)

ღრმად დამწუხრებული მეუღლე დომინიკო არჯევანიძისა, შვილები: ვალიკო, შალიკო და კოკო, უბედური მამა გიორგი არჯევანიძე, ძმები: ერმილო და მიხაკო არჯევანიძეები და მარუსია ვლადიმერის ასული გენაძე ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს ძვირფასი და დაუვიწყარი საფეხშლო სკოლის მასწავლებლის

**ზაქარია გიორგის ძე არჯევანიძის**

გარდაცვალებას, რომლის დასაფლავება მოხდება 24 ნოემბერს, დილის 10 ს., წმ. ნინოს სასაფლაოზე. პანაშვიდი ყოველ დღე საღ. 5 ს., მოლაკნის ქ. 27.

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ვანო ლოლაძე, დედა ლიზა სოსანაშვილი და მაზლი გალაქტიონ, ამით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

**ევა დიმიტრის ასული ლოლაძისა.**

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე. დაკრძალვა მოხდება კვირას, 24 ნოემბერს. წირვა და პანაშვიდი იქნება გადახდილი წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. გამოსვენება დილის 10 საათზე, კრასნოგორის ქუჩა № 19.

ღრმად დამწუხრებული და გულდათუთქულნი: მეუღლე აბაკო, შვილები: ვასილი, მარიამი, ჩიტო, და ალექსანდრე, მამამთილი მოსე, დედამთილი მართა, მაზლები: გიორგი (ზაქარია), კანელიკე, მული ნინო, რძალი, მარიამი, მაზლის შვილები: ქეთევანი და ვახტანგი ანდღულაძეები უგულითადესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ საყვარელი

**თამარი მელქისედეკის ასულის ანდღულაძის**

უდროოდ გარდაცვალებას, რომლის უკანასკნელი გამოთხოვების დღეთ დანიშნულია კვირა, 24 ნოემბერი (ახ. სტ.), ს. ბახვში (გურია).

ღრმად დამწუხრებული მშობლები: მამა ვარდენ, დედა მართა, ძმები: ნაგიოზი, კასიანე, ეგნატე და პეტრე, დები: ფედოსი, პელაგია, ქრისტინე და ნატალია, სიძეები: ივანე ვაჩეიშვილი, კირილე სიხარულიძე, ბიძა: ივანე, ბიცოლა მატრონე, ბიძაშვილები: იონა, კოლა, აკაკი, ლიდა და მარუსია ახალაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასი

**არქიპო ვარდენის ძე ახალაძის**

უდროოდ გარდაცვალებას, რომელიც მოხდა ქ. სამტრედიაში, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, 18 ნოემბერს. დაკრძალვა მოხდება ს. ქვემო-ხეთში (გურია), დღეს, 22 ნოემბერს. 2—1

ღრმად დამწუხრებულნი: დედა მარიამი და მამა გიგო, ძმები: ლავრენტი და შალიკო, ბიძა ნიკო, ბიცოლა მატრონე, ბიძაშვილები: ვერა და პროკოფი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა უსაყვარლესი და დაუვიწყარი ქალი

**ეპრაქსია (პაშა) გიგოს ასული ალავიძისა.**

პანაშვიდი საღამოთი ყოველ დღე საღ. 5 საათზე, საპიონის ქ. № 45, საიდანაც გამოასვენებენ პარასკევს, 22 ნოემბერს, დილის 10 საათზე. დაკრძალვა კუკიის წმინდა ნინოს სასაფლაოზე.

გრიგოლ თომას ძე და შვილები: სიმონ, ალექსანდრე, გიორგი, ლადიმერი, ოლღა და ანნა გეგიძეები აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ შაბათს, 23 ნოემბერს, გადახდილი იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი პირველისა საყვარელი მეუღლის და დანარჩენთა ძვირფასის და დაუვიწყარის დედის

**მარია გიორგის ასულის გეგიძის**

სულის მოსახსენებლად, დაბა ჩოხატაურში.

ღრმად დამწუხრებულნი: დედა ნინო იოსელიანისა, მეზია დარიკო ხერხეულიძისა, აუწყებენ ნაცნობთ და მეგობართ, პირველის—შვილის და მეორის შვილის შვილისას, წმ. ნინოს სასწავლებლის მე-7 კლასის მოსწავლის

**ნ ი ნ ა ს (ნიცა)**

უდროო გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს, წმ. ნინოს სასაფლაოზე. გამოსვენება დილის 10 საათზე, იზმაილოვის შესახვევი № 6, ბინა 5.

ღრმად დამწუხრებული ძმა კოკი იასონის ძე იოსელიანი, ბიძაშვილები: დათიკო და გრიშა მიხეილის ძენი იოსელიანები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასი წმინდა ნინოს სასწავლებლის 7 მდე კლასის მოწაფის

**ნინას (ნიცა)**

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს წმინდა ნინოს სასაფლაოზე. გამოსვენება დილის 10 საათზე, იზმაილოვის შესახვევი № 6, ბინა 5.

ღრმად დამწუხრებული მშობლები: გაბრიელ გიორგის ძე და სოფიო ადამის ასული ჩიქვანაძეები, მეზია თინათინ გიორგის ასული ჩიქვაიძე, მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასი თავიანთ საყვარელის ერთადერთი შვილის

**გიორგი (ჟორჟიკა) გაბრიელის ძე ჩიქვაიძის**

უდროოდ გარდაცვალებას. დასაფლავება მოხდება დღეს, პეტრე პავლეს სასაფლაოზე. გამოსვენება დილის 2 საათზე, იძლეჟის ქ. № 1, საკ. სახლი.

## ბოლშევიზმის საფრთხე გერმანიაში

გერმანიის რევოლიუციის ერთი უდიდეს საკითხთაგანი მდგომარეობს იმაში, მოიკიდებს ფეხს და გაძლიერდება, თუ არა, გერმანიის მშრომელ ხალხში ბოლშევიკური სულიერი განწყობილება. სამწუხაროთ, ის ხმები, რომელიც რევოლიუციის პირველ დღეებში მოვიდა ყველა სოციალისტურ მიმდინარეობათა და მათ შორის ლიბკნეხტის შეერთების შესახებ—არ გამართლდა: შეერთებულან მხოლოდ შეიდემანის მიმდევარნი და „დამოუკიდებელნი“, ე. ი. ჰაზე, ლედებური—კაუცკის ჯგუფი. ლიბკნეხტი და მისი ჯგუფი „სპარტაკი“ ჯერ კიდევ ოპოზიციაში დგას და, როგორც ეტყობა, საერთოდ იზიარებს იმ პოლიტიკურ ხაზს, რომელსაც რუსეთში მისდევდა ბოლშევიზმი. მართალია, „სპარტაკის“ ჯგუფს ჯერ ჯერობით ძალიან მცირე გავლენა აქვს მუშებში, მაგრამ ბოლშევიზმი მაინც კიდევ უქადის საფრთხეს გერმანიის რევოლიუციას, რადგან გერმანიაში გამარჯვებულ იმპერიალისტურ კოალიციის წყალობით შეიძლება შეიქნას ისეთი ცხოვრების პირობები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ბოლშევიკურ სულიერ განწყობილების გაძლიერებას მშრომელ ხალხში. ჩვენ ვიცით, რომ ბოლშევიზმი რუსეთშიაც არ იყო ისე ძლიერი რევოლიუციის დასაწყისში, რომ მას გამარჯვების იმედი ჰქონებოდა.

რამ შეუწყო ხელი მის გამარჯვებას რუსეთში?

გარდა იმ ობიექტიურ პირობებისა, რომელიც ჩვენ ხშირად აღგვინიშნავს, გარდა რუსის ხალხის იმნაირ სოციალურ შემადგენლობისა, რომელმაც ბოლშევიზმს ხელი შეუწყო, ბოლშევიზმი გაძლიერდა სახელმწიფოს დანგრევის და ანარქიის ნიადაგზე. ბოლშევიზმი და ანარქია—ეს განუყრელი მოვლენებია; ბოლშევიზმი ანარქიის პოლიტიკური სახეა. ეს ანარქია კი დაიბადა ყოველგვარ სადღ სასურსათო საქმის დანგრევის წყალობით.

შეიძლება, თუ არა, გერმანიაშიც შეიქნეს ასეთი პირობები? ამაზე პასუხს იძლევა ის „მოწოდება“, რომელიც გერმანიის სოციალისტურ მთავრობას გაუგზავნია გამარჯვებულ კოალიციის სახელმწიფოებისთვის.

„მოწოდებაში“ გულახდილათ არის აწერილი ის აუტანელი მდგომარეობა, რომელშიაც ჩააგდო გერმანიის ხალხი დროებითი ზავის პირობებმა: „დროებითი ზავის პირობები საფრთხეს უმზადებენ ეკონომიურ მდგომარეობას გერმანიისას“, ნათქვამია მოწოდებაში. რევოლიუციის მშვიდობიანი და წესიერი მსვლელობა, რომელიც ასე კარგათ მოეწყო გერმანიაში, „აუცილებლათ შეირყევა“, რადგან დროებითი ზავის პირობები „შეუძლებლათ ხდიან თვით ჩვენს არსებობას შემდეგში“. 150,000 ვაგონის და 5000 ლოკომოტივის წართმევის გამო გერმანიას აღარ ყოფნის სატრანსპორტო საშუალება ნი, რომ სურსათი მიაწოდოს მცხოვრებთ. ამ პირობებში, ნათქვამია „მოწოდებაში“, „ჩვენი ქალაქების მცხოვრებთ ნაწილობრივათაც კი ვერ დავაკმაყოფილებთ სურსათით; ჩვენ ვერ შევძლებთ, თუნდაც ერთის კვირის განმავლობაში, უზრუნველვყოთ მცხოვრებნი სურსათით“.

მეორე, კიდევ უფრო მძიმე პირობას წარმოადგენს გერმანიის ნაპირების ბლოკადა. ამის წყალობით, ჯერ ერთი, შეუძლებელი ხდება გერმანიაში სურსათის შეტანა სხვა ქვეყნებიდან; როგორც ჩანს, გერმანიაში იმდენათ გამოლეულა სურსათი, რომ თუ სხვა ქვეყნები არ დაეხმარნენ, გერმანიის მცხოვრებთა შიმშილი აუცილებელია. მეორე საშიშროება ბლოკადისა იმაში მდგომარეობს, რომ მის წყალობით ბალტიის და ჩრდილოეთის ზღვებში სულ მთლად მოსპობა მეთევზეობა, რომელიც წარმოებს დიდს დარგს შეადგენს გერმანიაში.

ყველა ამ გარემოებათა წყალობით: „გერმანიის ყველა ნაწილებში ერთსა და იმავ დროს იფეთქებს ამბოხება შიმშილობის გამო“. გერმანიის მთავრობას ცხადათ აქვს გათვალისწინებული, რომ ეს შიმშილობა საუკეთესო ნიადაგია ბოლშევიზმის გაძლიერებისათვის: თუ ასეთი პირობები შეიქმნა, „ჩვენ პირდაპირი ნაბიჯით მივდივართ არა სასურველ ბოლშევიკურ სულიერ განწყობილებისაკენ, რომელიც საფრთხეს მოუმზადებს მეზობელ სახელმწიფოებსაც“, ნათქვამია „მოწოდებაში“.

ჩვენ არ გვეშინიან იმის, რომ გერმანიაში ბოლშევიზმი რუსულს სახელს მიიღებს და ანარქიის მორევში გადაისვრის სახელმწიფოს, მაგრამ თუ იქ ბოლშევიზმის მსგავსმა მოძრაობამ ფეხი მოიკიდა, ამის ბრალი სულ მთლად დაედება იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მესვეურთ. ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმმა შეიძლება კიდევაც ხელი შეუწყოს გერმანიაში ბოლშევიკურ ალის გაძლიერებას. როგორც რუსეთში გერმანიის იმპერიალიზმმა გააძლიერა ბოლშევიზმი, ისე, შესაძლებელია, ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმმა პოლიტიკურ სიბრძნეთ ჩასთვალოს მისი გაძლიერება გერმანიაში: ბოლშევიზმმა დასცა ძირს რუსეთის სახელმწიფო, შეიძლება ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტებმა მოინდომონ ბოლშევიზმის საშუალებით ძირს დასცენ გერმანიის სახელმწიფო. მაგრამ გამარჯვებულ გერმანიის იმპერიალიზმის მადაგახსნილობას ბოლო მოუღო თვით გერმანიის მუშა ხალხის გამოსვლამ.

გამარჯვებულ კოალიციის იმპერიალისტების მადაგახსნილობას ალაგმავს თვით ამ კოალიციის სახელმწიფოების მუშა-ხალხის ჩარევა საერთაშორისო საქმეებში.

## ჩვენი მილიცია

ბევრი მხრიდან გვესმის საყვედური მილიციის უწესო მოქმედების შესახებ. ხშირათ ეს საყვედური უსაფუძვლოა: ზოგიერთები ცდილობენ სახელი გაუტეხონ ახალ წყობილებას და ამიტომ მთავრობაზე და მის ორგანოებზე უსაფუძვლოთ მიაქვთ იერიში. ბევრი შეგნებლათ ავრცელებს ყალბ ხმებს. მაგრამ, საუბედუროთ, მილიციაზე გავრცელებულ ხმებში, ბევრი სიმართლეც არის.

ყოვლის მხრით უნაკლულო ადმინისტრაცია არც ერთს ქვეყანაში არ არის. მით უფრო შეუძლებელია ასეთი უნაკლულო მილიცია არსებობდეს ჩვენში, სადაც მხოლოდ ახლა იწყობა ნელ ნელა ახალი სახელმწიფოებრივი აპარატი. მაგრამ ხშირად ისეთს შემთხვევებს აქვს ალაგი, რომ მცხოვრებლები ვერც კი ხედავენ განსხვავებას ძველი დროის „გოროდოვოებსა“ და ჩვენი დროის მილიციონერებ შორის. ძარცვა-გლეჯა, რომელიც ხშირად ხდება დღით, ჩვენ თვალწინ, აშკარათ ამტკიცებს იმას, რომ ან მილიცია სრულებით უმოქმედოა, ან და სამსახურში მოიპოვებიან ზოგიერთი ისეთი პირები, რომელნიც თითონ იღებენ მონაწილეობას ბოროტმოქმედებებში.

სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ თფილისის მილიცია თითონ იღებს ზომებს არა სასურველ ელემენტების განსადევნათ. მაგრამ ის გზა, რომლითაც მილიცია ფიქრობს თვით განწმენდას უსარგებლოა, პირიქით მავნებელიც არის. რა გზაა ეს, ყველამ ალბათ არც კი იცის: არსებობს მილიციონერთა კავშირი, რომელიც ფაქტიურად განაგებს მილიციონერების მიღება-დათხოვნის საქმეს.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ასეთი ორგანიზაცია მარტო მილიციონერებს როდი აქვთ, სხვა დარგის მოსამსახურეებიც არიან შეკავშირებულნი და ამ გზით აწარმოებენ საქმეს. ასეთია, მაგალითად, ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა კავშირი. თავის დროზე ამ კავშირებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ, მაგრამ დღეს მათ მხოლოდ ვნების მოტანა შეუძლიათ.

ყოველ უწყებას, ყოველ დაწესებულებას ჰყავს თავისი გამგე, პასუხისმგებელი პირი. და საქმის ინტერესი მოითხოვს, რომ ყველა ემორჩილებოდეს ამ პირის განკარგულებებს. კოლეგიალური პრინციპი აუცილებელია საკანონმდებლო ორგანოებში, მაგრამ დაუშვებელია ადმინისტრაციაში.

ამ ყალბმა და მავნე „დემოკრატიზმს“ ისე ძლიერ აქვს გადგმული ფესვები, რომ ხშირათ თითების აწევით ფიქრობენ გადასჭრან ისეთი საკითხი, რომელიც თითონ დაინტერესებულ პირებს შეეხებათ. მაგალითისათვის საკმაროთ მიგვაჩნია მოვიყვანოთ დადგენილება მეცხრე კომისარიატის მილიციონერების და კანცელარიის მოსამსახურეებისა. ჩვენი გაზეთის № 247 ში კორესპონდენტმა „ტარიელმა“ გამოაქვეყნა ზოგი ცნობები აღნიშნულ კომისარიატის შესახებ. და იმის მაგიერ, რომ კორესპონდენტი სამართალში მისცენ, დაინტერესებული პირები—მილიციონერები და კანცელარიის მოსამსახურენი ადგენენ: „მიიღო რა მხედველობაში ყოველივე ზემოაღნიშნული მოქმედება კომისრისა, საზოგადო მილიციონერთა კრება უცხადებს მას სრულს ნდობას, ხოლო ზიზღი ბ. ტარიელს ყალბ ცნობების მოთავსებისათვის გაზეთ „ერთობაში“...

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს შეუსაბამო რეზოლიუცია ნაყოფია იმ მავნე სისტემის, რომელიც მილიციაშია გაბატონებული. საჭიროა ამას ყურადღება მიექცეს. მილიციონერების ორგანიზაცია უნდა მოქმედებდეს მხოლოდ და მხოლოდ პროფესიონალურ ორგანიზაციის ჩარჩოებში და დანარჩენ საკითხებში არ უნდა ჩაერიოს.

დროა განაწილდეს შრომა და ყველა თავის საქმის კეთებას შეუდგეს.

## მერვე ყრილობა

### ს.-დ. მ. პარტიის წარმომადგენელთა.

**15 ნოემბრის სხდომა.**

**ფინანსიური საკითხი.**

კ. კანდელაკი. როდესაც თქვენ, ამხანაგებო, შეუდგებით ჩვენი ფინანსიური მდგომარეობის გათვალისწინებას და მის მომავალ პერსპექტივას, უნდა გათვალისწინებული გქონდეთ ჩვენი ნორჩი რესპუბლიკის ობიექტიური პირობები, ეკონომიური და პოლიტიკური ურთიერთობა მიმდინარე მომენტში.

კარგათ მოგეხსენებათ, რომ ფინანსიური საკითხი თვით ნორმალურ პირობებში უძნელეს საკითხს წარმოადგენს. მით უმეტეს, მძიმეა ჩვენთვის ამის მოგვარება თუ მივიღებთ მხედველობაში თანამედროვე ომის მიერ გამოწვეულ კრიზისს ყოველ დარგში, რუსეთის მდგომარეობას და განსაკუთრებით ჩვენსას, როცა საქართველო, როგორც პოლიტიკური სახე, ამ საერთო უბედურების ანარქიის ხანაში ყალიბდება. ჩვენი კრიტიკოსები და მათ შორის ჩვენი „ამხანაგები“ ამ მტკივან ალაგს აჭერენ ხელს და ცდილობენ დაამტკიცონ, რომ საქართველოს არ შეუძლია იარსებოს დამოუკიდებლად. ისინი გვითითებენ იმაზე, რომ ჩვენს სახელმწიფოს არ ყოფნიდა შემოსავალი, ვერ ასწორებდა ხარჯებს ფრონტიდან ჯარების დაბრუნებით და ათას ნაირ ლიკვიდაციებით გამოწვეულს. ერთის გადახედვით ისინი თითქო მართალნი იყვნენ, მაგრამ შეუძლებელია ასეთი მოვლენები საერთო საზომით მივიღოთ ამ რთულ კითხვის გარჩევის დროს. საქმე ის არის, რომ ობიექტი შემოსავლის დიდ ცვალებადობას განიცდის დროსა და გარემოების მიხედვით. ჩვენ ვიცით, რომ ყოველივე ხარჯი უნდა უთანხმდებოდეს მწარმოებელ ძალთა განწყობილებას, მაგრამ თუ საქართველო, როგორც რუსეთის ნაწილი იძლეოდა თავის შესაფერ ხარჯებს, ეს უნდა შესძლოს დღესაც, რადგან მრეწველობა და საერთოდ ეკონომიური დარგი მეტ შანსებს იძლევა დღეს. მართალია, ჩვენ ვდგევართ ფინანსიური კრიზისის წინაშე, მაგრამ ეს ევროპის საერთო ავათმყოფობაა და შეიძლება გულწრფელთ გარდამავალი ხანა წარმოშობილი პოლიტიკური და ეკონომიური მიზეზებით.

რა პირობებში მოუხდა საქართველოს თავის დამოუკიდებლობის გამოცხადება და განხორციელება?

მაშინ, როცა რუსეთს ანარქია ხრწნიდა, ჩვენი ფრონტი დაცლილი იყო ე. წ. ბოლშევიზმის ლოცვა კურთხევით, როცა გარედან ოსმალეთის ურდოები გვეწვეოდა და შიგ ანარქია იყო გამეფებული; როცა ჩვენ იძულებული ვიყავით დემობილიზაციის და მობილიზაციის მიერ გამოწვეულ ხარჯებისათვის გაგვეწია ანგარიში; აუარებელ და სახელმწიფო და კერძო დაწესებულებათ ლიკვიდაციების; მარტო სხვადასხვა რკინის გზების პერ-ვარაში მოითხოვდა ერთ მილიარდ მანეთს.

ყოველივე ამისათვის თფილისს უნდა გაეწია ანგარიში, როგორც ამიერ-კავკ. პოლიტიკურ და ეკონომიურ ცენტრს. და როდესაც თფილისი ჩვენი დედა ქალაქი გახდა, აშკარაა ეს დააწვა ნორჩ საქართველოს რესპუბლიკას.

მართალია, ჩვენ შეგვეძლო ყოველივე ხარჯებისათვის უარი გვეთქვა, როგორც ამას სოვდებია შვრებოდა, მაგრამ ამით გამოვიწვევდით ანარქიას და სამოქალაქო ომს და აგრეთვე ეს იქნებოდა პოლიტიკის უბრალო ანბანის დარღვევა.

თუ ჩვენ გავითვალისწინებთ იმას, რომ რკინის გზის შტატის შემოკლება და 7 ათასი კაცის დათხოვნა რა ხარჯებს გამოიწვევდა აშკარაა, რა უნდა ყოფილიყო აუარებელ საქმეების და დაწესებულებების დაკმაყოფილების მინიმუმი ხარჯი. ლიკვიდაციებში ჩვენ დაგვეხარჯა 30—50 მილიონი მანეთი. ამ ხარჯებში ჩვენ არ შემოგვეწევია არც რუსეთი და არც ამიერკავკასიის რიგი რესპუბლიკები.

თფილისი ცენტრია და აქ იყრის თავს აუარებელი საკრედიტო დაწესებულებები. შემნახველებში უკმაყოფილებამ იჩინა თავი და ჩვენ იძულებული ვიყავით ამისათვის ანგარიში გაგვეწია. საკრედიტო დაწესებულებებს ჩვენ მივეცით 10 მილიონამდის. მართალია, ეს ხარჯები ოდესმე უნდა მოვსთხოვოთ რუსეთს, ამისუფლება ჩვენ გვაქვს, მაგრამ ეს დღეს რას გვიშველიდა?

ჩვენ დღემდის ვერ მოვახერხეთ შეგვედგინა საკუთარი სახელმწიფოს ბიუჯეტი, მაგრამ არა თუ ჩვენ, არამედ—უფრო კარგა ხნის ფეხ მომაგრებული პოლიტიკურად და ეკონომიურად სახელმწიფოებს არ გააჩნიათ საკუთარი ბიუჯეტი, რადგან შეუძლებელია დღევანდელ პირობების მიერ გამოწვეული ტიტანიური ხარჯების წინასწარი გათვალისწინება და შემოსავალ გასავლის წონასწორობის მოგვარება. ჩვენ ხელს გვიშლიდა აგრეთვე ის, რომ ჩვენი სახელმწიფო ახლა ყალიბდება და ძველი სახელმწიფოებრივი ტრადიცია და ორგანიზაციები ჩვენთვის გამოუსადეგარი გახდა. ამ რიგათ თქვენ დაინახავთ, როცა ჩვენ არა გვაქვს საკუთარი საკმაო შემოსავალი, არ გვაქვს საკუთარი ფინანსიური სახე, თუ რა ხარჯები მოგვადის.

როცა ჩვენ გვეკითხებიან რაში გამოიხატება ხარჯები, მოგაწოდებთ: დღიდან დამოუკიდებლობისა 19 ოქტომბრამდის ცენტრალურ ხაზინიდან სამხედრო უწყებისათვის დახარჯულა 54 522,000 მან.; გზათა—34,930,000; შინაგან საქმეთა—14,40000; ფინანსთა მოქ. 1,472; მიწათ მოქმედების 1,054,000; განათლების 1,001,000 მან. და სხვა პროვინციის ხაზ. დაიხარჯა 9,000,000 მან. სულ დახარჯულა 130 მილიონამდე, თვიურად დაახლოვებით 27—28 მილიონი. როგორც ხედავთ, ჩვენი ბიუჯეტი მოითხოვს დიდ შემოსავალს. უნდა ვიგულისხმოთ ნორმალური პირობების შემოსავალი. შემოსავალი დამოუკიდებლობამდე 4 მილიონს უდრიდა. ამ შემოსავალს ხარჯები აღემატებოდა. ხანდისხან კი რჩებოდა შემოსავალი მილიონ ნახევრამდე. ჩვენ უნდა ვიქონიოთ სახეში სახელმწიფო აღმშენებლობითი მუშაობის ხარჯი; უნდა გავითვალისწინოთ მანეთიანი კურსის დაცემა. ჩვენ დავინახეთ, რომ ამ გრანდიოზულ ხარჯების შედარებით შემოსავალი მეტად მინიმალური ყოფილა. რა საშუალება გვექნება ჩვენ?—ჯერ უნდა აღვნიშნოთ რევოლიუციის დღიდან ხალხის ანარქიული მიდრეკილება სახელმწიფოსადმი: არ იძლეოდნენ ხარჯებს. ხარჯების აკრეფა კი მოითხოვს უსათუოდ ძალდატანებას. ანარქია რამდენათ ქრება, შემოსავალი მატულობს, მაგალითად ავიღოთ ჩვენში შემოსავლის ციფრები: აგვისტოს პირველ ნახევარში შემოსულა 280,000 დღ, მეორე ნახევ. 220,000 სექტემბრის პირვ. ნახ. 5,600,000, სექტემბრის მეორე ნახევ. 4,200,000, ოქტომბრის პირველ ნახევ. 2.800,000 და სხვა. ამ რიგათ, ხარჯების აკრეფა წესიერად მიმდინარეობს. პირველი საქმეა პირდაპირი გადასახადების მოწესრიგება-შემოსავლის კვალობაზე და უნდა ვეცადოთ ეს გადიდდეს. პირდაპირი გადასახადის მოწესრიგება მოითხოვს დროს. არა პირდაპირი არ არის მისაღები, მარა ვერ უთხარით უარი, რადგან ის ხარჯებს უსწორებს. მაგალითად, არა პირდაპირის სახით პარლამენტის კანონ-პროექტი თამბაქოზე დაწესებული მოგვცემს 45—55 მილიონ მანეთს, აგ-

რეთვე სპირტზე და ღვინოზე რომელიც მილიონს გადააცილებს.

ყოველი მოქალაქე მოვალეა მსხვერპლი გაიღოს თავის სამშობლოსათვის ამიტომ გვინდა პირდაპირი გადასახადის პრინციპით მოვკრიფოთ ერთდროული გადასახადი, რომელიც მოგვცემს 70 მილიონს. ყველა აღწევს 220 მილიონს, საერობო და ქალაქის თვითმართველობის დამოკიდებულება გადასახადების აკრეფის დროს ჩვენს სახელმწიფოსთან შეთანხმებული უნდა იყოს ისე, რომ ერთმანეთს ავსებდეს. ამასთანავე ან და მივმართოთ სესხს, საუკეთესო იქნება შინაური სესხი, მაგრამ დღევანდელ პირობებში ეს ძნელია და უნდა მივაქციოთ ყურადღება საგარეო სესხის აღების მოგვარებას. მთელი ეს ხარჯები არ უნდა დააწვეს ახლანდელ თაობას. უნდა გადავიდეს მომავალ თაობაზე, ამას მოითხოვს ანბანური ჭეშმარიტების კანონი და სამართლიანობის პრინციპი.

ჩვენი ფინანსიური პოლიტიკის ნაკლიც იმაშია, რომ არა გვაქვს საკუთარი ფულის სისტემა. ამიერ-კავკ. კ-ტი იძულებული იყო გამოეცა ბონები, რუსეთის ქაღალდის ფულის პასუხისგების ქვეშ. მაგრამ ეს ასე არ მოხდა, ჩვენ მოგვიხდა საკუთარი ცხოვრება კომისარიატიდან ჩვენს ხელში გადმოვიდა 100 მილიონი მან. ნაწილი 120 მილიონი გამოიცა შეთანხმებით, კომისარიატის ფული არ შეადგენდა არავითარ ღირებულებას. ამის პასუხისმგებლობა მივიღეთ თავის თავზე, როგორც ყოველგან მიღებულია. ჩვენ უნდა გვქონდეს საკუთარი ფონდი, ოქროს ფონდი. ქაღალდის ფული თუ არ არის ეკვივალენტი ძვირფასი ლითონისა თავის თავად არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს. მაგრამ ომმა ამ ურყევ კანონს ფინანსიურ ურთიერთობისას ლახვარი ჩასცა და დღეს უკვე მსჯელობენ იმაზე, თუ რამ უნდა დაიჭიროს მისი ადგილი, რა თქმა უნდა, რაც მიღებული იქნება ევროპაში ამ ფონდის ნაცვლად, ჩვენც მას მივიღებთ.

როგორც დანამდვილებით გავიგეთ, ჩვენს ფულს ყოველგან იძენენ, რადგან ანგარიშს უწევენ ჩვენ პოლიტიკას და აგრეთვე იძულებულნი არიან შეიძინონ ჩვენგან საქონლის შესაძენათ.

ფულის საკითხს აქვს მეორე მხარე: ბევრი ფული გამოდის და საზოგადოებაში იკარგება. ფული არის საქონლის გამომსახველი და ეს კი არ არის, რადგან ვაჭრობა-მრეწველობა მოდუნებულია. ეს ქმნის უკუღმართ მდგომარეობას. სოფელი დღეს ვერ პოულობს რომ რამე შეიძინოს. ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებას დიდი მნიშვნელობა აქვს და ამ მხრით ვაჭრობა-მრეწველობა სამინისტროში არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ არ დაემტკიცებინოს წესდება კერძო ინიციატივისა ამ გზით გადადგმული. კერძო ინიციატივის გარდა უნდა მივიღოთ კოლექტიური მეურნეობის წესი. ერთი სიტყვით, როგორც ხედავთ, ფინანსიური საკითხი მეტად მწვავეა, მარა როგორც ზემოთ ვსთქვი ამას კავშირი აქვს გარდამავალ ხანასთან.

დიდი გასაწევი ხარჯები ჩვენ უკვე განვლეთ. ეს დიდი შემსუბუქებაა ფინანსიური ამოცანის ახსნისა. ჩვენ უნდა დავუწესოთ პირდაპირ და ზოგჯერ არა პირდაპირ გადასახადს. აგრეთვე ერობა დიდ იმედს გვაძლევს საკითხის მოგვარებაში. უნდა ვეცადოთ ფულის ტრიალის მოწესრიგებას.

ჩვენ გვაქვს შეცდომები, მარა ფინანსიური სფერო ისეთია, რომ ახირებულათ ვერ მიუდგება კაცი და ვერ ახსნის. რამდენათ დრო და განვითარება ჩვენს ცხოვრების დარგში ხელს შეგვიწყობს ამ საკითხში ჩვენ გამარჯვებულნი გამოვალთ, (ტაში) შეკითხვების შემდეგ იმართება კამათი.

ცეკვაშვილი. საერთო ხასიათი მოხსენებისა მიიღება, მარა მე ვფიქრობ რუსეთის ფულის ტრიალი აქ, ჩვენს ფინანსიურ მდგომარეობის მოგვარებას ხელს შეუშლის, რასაც ავტორი მოხსენებისა ნაკლებ ყურადღებას აქცევს. მეტად მძიმეა ფინანსიური საკითხის მოგვარება მაშინ, როცა ჩვენში ვაჭრობა-მრეწველობა დაბლა დგას და როცა ამხ. კანდელაკი საგარეო სესხზე ამყარებს იმედს, ამას მე სკეპტიკურად შევხედავ, მით უმეტეს, რომ ის ვალი, რომელიც მართებს რუსეთს ინგლისის და საფრანგეთისა, მე მგონია ჩვენ დაგვაწვება კისერზე.

ჩვენ ძალიან ფრთხილათ უნდა შევსცვალოთ ფინანსიური საფუძველი. ძველი „რასკლადკები“ მიუღებელია, თუ დარჩა ზედმეტი კაპიტალი, უნდა ვეცადოთ ავსწიოთ მეურნეობა სოფელში. რუსეთის ბიუჯეტი სამხედრო ბიუჯეტი იყო. ასეთი სული აქვს ჩვენს ბიუჯეტს: ეს კი საფრთხეს გვიმზადებს. ჩვენ უნდა ვეცადოთ ჩვენმა ფინანსიურმა სისტემამ გლეხები არ გაგვიღატაკოს.

ზ. გურული და სხვებიც ასაბუთებენ იმ მდგომარეობას, რაც ალაგი აქვს რკინის გზებს და სხვა დაწესებულებებში უმეტესათ ჯამაგირის მიუღებლობას და მუშათა ეკონომიურ მდგომარეობას, რაც აფერხებს ფინანსიურ საკითხის მოგვარების საქმეს. ამხ. გურული მოითხოვს მიექცეს ასეთებს ყურადღება და ის საქონელი, რაც მომარაგების კომიტეტში არის და შესაძლებელია ხვალ ღირებულება დაეკარგოს, გასაღდეს და ეს პლიუსი იქნება ჩვენთვის.

მომხ. კანდელაკი. ამხ. ზ. გურულმა დააყენა პრაქტიკული საკითხი. ამას უნდა მიექცეს მართლა ყურადღება. მარა როცა არა ნორმალობაზე გვეუბნებით, უნდა მივიღოთ მხედველობაში ის, რომ საბეჭდავი მანქანებიდან ფული გადის და არ ბრუნდება. ახლანდელი ობიექტიური მდგომარეობა თავიდან ბოლომდი ხელს გვიშლის და კიდევ ბევრს ვახერხებთ, ყოველ შემთხვევაში მომავალში უსათუოდ უკეთ მოეწყობა საქმე. რაც შეეხება ამხ. ცეკვაშვილის დაყენებულ საკითხს, ფულის სისტემაზე, ეს მძიმეა. აგრეთვე ამხანაგს ეშინია სესხისა. მე მგონია ასე ვსთქვი, რომ შინაური სესხზე უფრო ადვილი საგარეოა და ამის საშუალებებიც უფრო მოსახერხებელია.

რაც შეეხება იმას, რომ სოფელში ფულია თავმოყრილი და გადასახადი დაედვას, მე ეს არ მითქვამს. ჩემი გადასახადების წესი სულ სხვა პრინციპებზე იყო დამყარებული.

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

21 ნოემბერი.

### გერმანული პრესის ცნობა.

კოლონიის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭომ ერთხმათ მიიღო რეზოლიუცია, სადაც სოციალდემოკრატიულ მთავრობის ფორმალურ განმარტებათ ეთანხმება და მხარს უჭერს. რეზოლიუციაში აღნიშნულია, რომ მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს ორგანიზაცია მხოლოდ დროებითია. გერმანიის წესწყობილების საკითხს საბოლოოდ გადასწყვეტს ეროვნული კრება. დიქტატორობა უარყოფილ უნდა იქნას.

გაზეთების ცნობით, დამფუძნებელი კრების მოახლოვებულ არჩევნების გამო, ნაციონალ-ლიბერალებსა და პროგრესისტებს მოლაპარაკება ჰქონდათ შეთანხმებაზე. შეთანხმება ყოველი მხრით მოხდა.

მთავარ ბანაკის კასელში გადასვლის გამო, მუშათა და ჯარისკაცთა საბჭომ შემდეგი დადგენილება გამოაქვეყნა: მოქალაქენო და ჯარისკაცნო! დღეს ფილდმარშალი ჰინდენბურგი მთავარ ბანაკის ოფიცრებთა და ჯარისკაცთა თანხლებით ჩავა კასელში იმისთვის რომ (დამახინჯებულია). ჩვენი ჯარის დემობილიზაცია მოახდინოს. ჰინდენბურგი ეკუთვნის გერმანიის ხალხს და გერმანიის ჯარს. მას ყოველთვის გამარჯვებით მიჰყავდა ჯარი და არ გაექცა ხალხს, როცა მას განსაცდელის დრო დაუდგა. ჰინდენბურგი ყოველთვის პირნათლათ ასრულებდა თავის მოვალეობას და ასე არასდროს დაგვახლოვებია, როგორც ეხლა. მას, ჩვენ მფარველობთ. ჩვენ ვიცით, რომ კასელის მოქალაქეჯარისკაცნი და მცხოვრებნი ენდობიან და პატივს სცემენ მას და რომ ის უზრუნველყოფილია შეურაცხყოფისაგან. ფილდმარშალი და მთავარი ბანაკის ოფიცრები და ჯარისკაცნი შეიარაღებულნი იქნებიან“.

პრუსიის მთავრობის დეკრეტის გამო, რომლის თანახმათ ოლქების და საგრაფოს უფროსნი თავიანთ ადგილზე უნდა დარჩნენ და მოვალეობის ასრულება განაგრძონ, მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა, რომ ოლქების და საგრაფოს უფროსნი მხოლოდ იმ შემთხვევაში დარჩებიან თავიანთ ადგილზე, თუ ადგილობრივ მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს კონტროლ ქვეშ იქნებიან. საგრაფოს უფროსის კანტორაში საბჭო ნიშნავს დელეგატს, რომელმაც თვალყური უნდა ადევნოს მათ მოქმედებას და თუ საჭირო იქნა იარაღსაც მიმართოს.

ხმები, ვითომც გერმანიის ჯარის ადმინისტრაციას განზრახული ჰქონდეს ნეიტრალურ ზონიდან და იმ ადგილებიდან, რომელიც შეთანხმების სახელმწიფოებმა უნდა დაიჭირონ, გაიყვანონ ყველა, ვისაც იარაღის ტარება შეუძლია, სინამდვილეს არ შეეფერება.

ბერლინის სამხედრო კომენდანტის მიერ ჯარისკაცებისადმი მიმართულ მოწოდებაში ნათქვამია, რომ დისციპლინობა და უთანხმოება უდიდესი საფრთხეა ახალგაზრდა რესპუბლიკისთვის. თავისუფლების და წესიერების ინტერესები მოითხოვს რესპუბლიკანურ გვარდიის შექმნას. გვარდიაში მოხალისეთ ჩასაწერი ფურცლები დარიგებულია ხალხში. მოხალისენი საკმაო ჯილდოს მიიღებენ, მაგრამ უნდა ჩაეწერონ დიდი ხნით. კომენდანტი მოუწოდებს ბერლინის ჯარისკაცებს ყოველგვარი ღონე იხმარონ, რომ დედა-ქალაქს დარბევის და სამოქალაქო ომის საფრთხე ააცილონ.

ბერლინის ჯარის სხვადასხვა ნაწილის უნტერ-ოფიცრებმა, ფლოტის და ახალშენთა ჯარის წარმომადგენლებთან ერთად შაბათის სხდომაზე ერთხმათ განაცხადეს, რომ ისინი მთავრობის მხარეზე არიან. მთელ თავის ძალებს მათ განკარგულებაში აძლევენ, უარყოფით ეპყრობიან ბოლშევიზმს და ანარქიას და მოითხოვენ გერმანიის ეროვნულ კრების მოწვევას. უნტერ-ოფიცრებმა თავის უფლებათა დასაცავათ ორგანიზაცია მოაწყვეს.

რეინის გაზეთების გამომცემელთა კავშირმა აუწყა მთელი ქვეყანას. გაზეთებს რეინის ოლქთა გაჭირვებული მდგომარეობა, რომელშიც ის დროებითი ზავის მკაცრმა პირობებმა ჩააყენა. „რეინის გზის მარცხენა მხარის ოლქებს შიმშილს უქადის. ამას გარდა შეუძლებელია ხიდება ხაგარნიზონო ჯარის გამოკვება და ის მცირე სურსათიც, რომელიც რეინის ოლქებშია. ჯარის უკან დახევის დროს სრულიად გამოილევა“. მოწოდება ასე თავდება: „ჩვენ ვსთხოვთ მთელი ქვეყნის პრესას ავუხსნას საფრთხე, რომელიც რეინის ადგილებს ემუქრება და მოითხოვოს, რომ ის ტერიტორია, რომელმაც განიცადა ომის საშინელება, სრულიად არ განადგურდეს, რეინის პროვინციის ლიბერალიზმი ცნობილია მთელი ქვეყნისთვის. დაგვიფარეთ ძალადობისგან და შეუბრალებლობისგან“.

მთავრობამ გამოაქვეყნა მეწარმეთა კავშირის და ტრედუნიონისტების შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც სხვათა შორის შეიცავს 8 საათის სამუშაო დღეს. ამასთანავე მთავრობა მოითხოვს გერმანიის სამრეწველოების ხელმძღვანელებისაგან, რომ ეს დადგენილებანი დაიცვან იმ ოლქებში, რომლებიც მოკავშირეთა კონტროლის ქვეშ იმყოფება. ამასვე მოუწოდებენ სამრეწველოების დირექტორებს.

ცნობილი სოციალდემოკრატი კარლ კაუცკი დამოუკიდებელ სოც.-დემ. გაზეთ „თავისუფლება“-ში სახიფათოდ სთვლის ეხლავე ერთბაშად ნაციონალიზაციის მოხდენას, ვიდრე ამის ხელსაყრელი პირობები არ შექმნილა. ეს იმას ემსგავსებოდა, რომ ხარები ურემს უკანიდან შევაბათ, ეს ნიშნავს გარდამავალ სახელმწიფოს შექმნას, რომელშიაც კაპიტალისტურ წარმოების განვითარება შემდეგში შეუძლებელია, ხოლო, სოციალისტური კი ჯერ არ არის.

ეს იქნებოდა ისეთი ხანა, რომლის განმავლობაში ყოვლად შეუძლებელია რაციონალურ წარმოებას ადგილი ჰქონდეს. ამით წარმოება დროებით უნდა შესწყდეს. სოციალიზმის ასეთი ფორმით დამყარება ეხლა, განსაკუთრებით დემობილიზაციის დროს თუნდაც ამგვარი მოთხოვნილებების წამოყენება, ნიშნავს გერმანიის საგარეო გადაქცევას.

### ინგლისის პრესის ცნობები.

გერმანიის მთავრობა ემზადება ჩრდილოეთ შლეზვიგს ბედი გადასწყვიტოს პლებისციტის საშუალებით.

ლიუქსემბურგის პალატამ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს რეფერენდუმს სახელმწიფოს მომავალ წყობილების განმარტების შესახებ. სოციალისტების და ლიბერალების წინადადება, რესპუბლიკის დაარსების შესახებ, უარჰყვეს.

საადმირალომ განაცხადა, რომ სამხედრო ცენზურა 20 ნოემბრიდან გაუქმებულ იქნება.

სამხედრო სამინისტრო იუწყება, რომ 17 ნოემბერს რუსებმა და ბრიტანელებმა ბაქო დაიჭირეს.

გერმანიის მთავრობამ მოკავშირეებს და ამერიკას რადიო დეპეშა გაუგზავნა, სადაც პროტესტს აცხადებს იმის გამო, რომ დროებითი ზავის პირობები ემუქრება რეინის მარცხენა მხარის ეკონომიურ ცხოვრებას და რეინის მარჯვენა ნაპირის გერმანიის ტერიტორიასთან ურთიერთ დამოკიდებულებას, და აცხადებს რომ, თუ პირობები არ შემსუბუქდა, ცხოვრება აუტანელი იქნება და ბოლშევიზმის გაძლიერება აუცილებელია.

კანცლერის ებერტმა განაცხადა, რომ მან გადასწყვიტა მოიწვიოს დამფუძნებელი კრება.

ქალ. ვილჰელმსჰაფენში წყალქვეშა ნავების უფროსებმა 15 ნოემბ. სხდომაზე მიიღეს რეზოლიუცია, სადაც ნათქვამია, რომ გერმანელი მეზღვაურები ყოველ გვარ სამსახურს გაუწევენ სამშობლოს მით, რომ ყველა წყალქვეშა ნავებს მიიყვანენ იმ ადგილას, რომელიც დროებითი ზავის პირობებშია აღნიშნული. გერმანიის წყალქვეშა ნავების პირველი წყება უკვე ჩაბარეს მოკავშირეთ. ჩაბარება სრულის სიწყნარით ჩატარდა, რადგან განკარგულება მოვიდა, რომ გერმანიის წყალქვეშა ნავების ჩაბარების დროს ზეიმს და სიხარულს ადგილი არ ჰქონოდა. ბრძანება დასრულდა. ამ რიგათ გერმანიის წყალქვეშა ნავების ერთი ჯგუფი ინგლისის მეზღვაურების ხელში გადავიდა.

მთავრობის ჯარმა აიღოს ლიბკნეხტი, დაიცალა სასახლე, სადაც მას ბინა ჰქონდა. როზა ლიუქსემბურგი ძალით გაიძევეს „ლოკალ-ანცეიგერის“ კანტორიდან. აქედან სჩანს, რომ არა ბოლშევიკთა ელემენტები თანდათან ძლიერდება ბერლინში.

# ჟურნალ-გაზეთებიდან

### კიდევ საქართველოს შესახებ.

გასულ თვის „ცენტ. აღმ. კომ. იზვესტია“-ში დაბეჭდილია შემდეგი წერილი ამ სათაურით „კავკასიის მენშევიკების სამეფოში:“

„საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ“ თავისი ოპერეტული არსებობის მცირე ხანში გადიტანა უკვე ორი კაბინეტი—ჩხენკელის და რამიშვილისა და ეხლა ხარობს და ჰყვავის „ამიერ-კავკ. სოც.-დემოკრატიის მამის“ ნოე ჟორდანიას მეთაურობით. კაბინეტის ხშირი შეცვლა სრულებითაც არ ემსახურება „ახალგაზრდა სახელმწიფოს“ გამაგრებას. ამიერ-კავკასიის „სოციალშპიტელ“-ების წინააღმდეგ აშკარად გამოდიან მუშები და ღატაკი გლეხობა. მათვე უთხრიან საფლავს გერმანელები, ბატონივით რომ მოეწყობიან საქართველოში. ოპერეტული მთავრობა კი რაღაცას ფაფხურობს, რეპრესიებს ილებს, იმუქრება, მაგრამ მაინც არაფერი ხეირი არ გამოდის.

გერმანელები კამპანიას ეწევიან „მტკიცე“ და „საქმიანი“ მთავრობის სასარგებლოდ. ამ კამპანიას ხელმძღვანელობს გერმანული გაზეთი „კაუკაზიშე პოსტი“ რომელიც თფილისში გამოდის. ის მოითხოვს სამხის ახალ შემადგენლობას, რომელიც „მთლიანად აღადგენს საქართველოს“.

„კავკაზიშე პოსტის“ ამ მზრუნველობაში „საქართველოს სრულ აღდგენის“ შესახებ ზ.ზ. წერეთელმა და კომპანიამ დაინახეს თავის „სოციალ-დემოკრატიულ დიქტატურისათვის“ საფრთხე და მთავრობას მოუხმობდნენ ასეთი გამოსვლები აეკრძალა. რასაკვირველია ჟორდანიას კაბინეტმა „კაუკაზიშე პოსტის“ წინააღმდეგ ვერავითარი რეპრესიის წარმოება ვერ გაბედა, მაგიერი ის მოქმედებს მეტად მტკიცედ მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ. ჟორდანიას შინაურ პოლიტიკას ემხრობა ბოლშევიზმს ასე ახასიათებს მას სოციალისტ რევოლიუციონერების გაზეთი, რომელსაც ბოლშევიზმის მიმხრობას ვერავინ დასწამებს. ნაციონალური საბჭოს რეაქციონერ პოლიტიკას ჰკიცხავს აგრეთვე... მენშევიკების გაზეთი „სოციალ-დემოკრატი“.

შემდეგი იქნებაო, გვიპასუხებს გაზეთი, ვნახოთ...

# ახალი ამბები

შაბათს, საღამოს 6 საათზე შესდგება საქართვ. სოც.-დემ. მუშ. პარტიის ცენტრალური კომიტეტის კრება.

— ამიერ-კავკასიის ერთა კონფერენცია. ამიერ-კავკასიის ერთა კონფერენცია, რომელიც 20 ნოემბერს უნდა შემდგარიყო, არ შემდგარა.

— პური სომეხთათვის. საქართველოს მთავრობამ ნება დართო სომხეთის მთავრობას, ჩრდილო-კავკასიაში შეძენილ პურის პირველი პარტია უფასოდ გადაიტანონ საქართველოს რკინის გზაზე.

— სამხედრო საპყრობილის დაარსება. იუსტიციის სამინისტროში, სამხედრო სამინისტროსთან შეთანხმებით ირკვევა საკითხი თფილისში სამხედრო საპყრობილის დაარსების შესახებ.

— რუსი ლტოლვილები. რუსთა ეროვნულ საბჭოს ატყობინებენ ბორჯომიდან, რომ იქ მისულან ს. მიხაილოვსკიდან (არტაანის ოლქი) გამოქცეულნი რუსი ლტოლვილები, რიცხვით 527 კაცი.

— საგანგებო სასამართლო სოხუმში. სოხუმში მყოფი მთავრობის წარმომადგენელი ისიდორე რამიშვილი სთხოვს იუსტიციის მინისტრს იშუამდგომლოს მთავრობასთან, რათა საჩქაროდ დაინიშნონ სოხუმის საგანგებო სასამართლოს წევრები.

— საგამომძიებლო უბნების გადაცემა. რადგან ზოგიერთმა ძველმა საუბნო გამომძიებელმა აქამდე არ ჩააბარა თავისი საქმეები ახლად დანიშნულ საუბნო გამომძიებელს, ამიტომ იუსტიციის მინისტრმა თფილისის სასამართლოს უფროსს უბრძანა, დაუყონებლივ ჩამოერთვას ძველ გამომძიებელს ყველა საქმეები და გადაეცეს ამ თანამდებობაზე ახლად დანიშნულ პირს.

— სამტრედიის ხარევოლიუციო ტრიბუნალის გაუქმებისა და მისი ფუნქციების ქუთაისის საგანგებო სასამართლოსთვის გადაცემის გამო, მთავრობის დადგენილებით, აღნიშნულ ტრიბუნალის ზოგიერთი წევრით ქუთაისის საგანგებო სასამართლოს შტატი უნდა შეივსოს. ამის გამო იუსტიციის მინისტრმა მოსთხოვა სამტრედიის ტრიბუნალის თავმჯდომარეს კანდიდატების წარმოდგენა. იუსტიციის სამინისტრომ მიიღო ეს სია, რომელშიაც აღნიშნულია შემდეგი პირთა კანდიდატურა: პავლე წულაია, მიტროფანე, ს. ჯანელიძე და ევგ. ძაძიგური.

— სახალხო უნივერსიტეტის გამგეობას განზრახვა აქვს 29 ნოემბერს, „წითელ გვარდიის დღეს“, გამართოს ჩვეულებრივი მეცადინეობა და გამართოს მოხსენებანი ამ დღის აღსანიშნავად.

— სახ. უნივერსიტეტში კვირას, 24 ნოემბერს გაიმართება სალამო ტურგენევის დაბადებიდან ასის წლის შესრულების აღსანიშნავად. მოხსენებებს წაიკითხავენ იშკოვი, ხემოდანოვი, სელიხანოვიჩი და ვოლკოვი. დასასრულ გაიმართება დივერტისმენტი.

— მკვლელობა. გუშინ დილით ბაქოს ქუჩაზე იპოვეს ტომარაში გახვეული ინტელიგენტი კაცის გვამი. მკვდარს რამოდენიმე ჭრილობა აქვს.

— კონცერტი. შაბათს, 23 ნოემბერს ქართ. სამუსიკო საზოგადოება ჰმართავს კონსერვატორიის დარბაზში მეტად საყურადღებო კამერულ კონცერტს. მონაწილეობას იღებენ: ბბ. ლ. ს. ზენდიცკი (როიალი), ბ. ი. ზალიზსკი (სიმღერა), ნ. ნ. ჩერეპნინი და კვარტეტი ქართ. სამუსიკო სკოლისა.

— რედაქციამ მიიღო ჟურნალი „კავკასკი გორიეც“-ის მორიგი 11—12 ნომრები ჟურნალში საყურადღებო წერილებია მოთავსებული.

— ლექცია. დღეს 22 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებაში, ნაძალადევის თეატრში დანიშნულია ლექცია: 1) ალ. ჟორჟოლიანისა: ფსიქოლოგია, 2) კ. ქავთარაძისა: ისტორია.

— მიწების დაბრუნება. საქართველოს მთავრობამ დააკმაყოფილა რუსთა ეროვნულ საბჭოს შუამდგომლობა სოფ გოლოვინის მიერ რუს გლეხებიდან წართმეული მიწების დაბრუნების შესახებ.

— განქორწინების კანონ პროექტი. იუსტიციის სამინისტროსთან მუშაობს საუწყებათაშორისო კომისია, რომელიც იხილავს განქორწინების კანონ-პროექტს. ამ კომისიის უკანასკნელი სხდომა დანიშნულია ორშაბათისათვის, რის შემდეგაც კანონის საბოლოო ტექსტი წარედგინება მთავრობას.

— რეზოლიუცია. მ. და ჯ.-კ. საბჭომ, მოისმინა რა მოხსენებები და კამათი გერმანიის რევოლიუციის შესახებ, დაადგინა: 1) საბჭო მიესალმება მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების დაარსებას გერმანიაში, რომელმაც შექმნა რევოლიუციონური მთავრობა დემოკრატიული ზავის დასამყარებლათ და სოციალიზმის და დემოკრატიის იდეალებისთვის საბრძოლველათ, 2) საბჭო დარწმუნებულია, რომ პოლიტიკურ ბრძოლის და გერმანიის მუშათა კლასის ორგანიზაციის საშუალებით გერმანიის საბჭო რუსეთის რევოლიუციის შეცდომებს, რომელმაც გადაუხვია დემოკრატიზმს და მაქსიმალიზმის და ბოლშევიზმის გზას დაადგა, აიცილებს და მთელ დემოკრატიას თავს მოუყრის რევოლიუციონურ დროშის ქვეშ და წაიყვანს მას დემოკრატიზმიდან სოციალიზმისკენ. 3) საბჭო რევოლიუციონერ გერმანიისთვის მოითხოვს დემოკრატიულ და საპატიო ზავს და მოუწოდებს ევროპის მშრომელ კლასს დაეხმაროს მთელი ქვეყნის იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

— ახალი ჟურნალი. სამხედრო სამინისტროს საერთო განყოფილებამ გადასწყვიტა გამოსცეს ყოველკვირეული ჟურნალი „რესპუბლიკის ჯარი“. ჟურნალის მიზანია ჯარის გონებრივი განვითარება სამხედრო ხელოვნების შესწავლასთან ერთად. რედაქციის მისამართი: ბარიათინის ქუჩა, სამხედრო სამინისტროს საერთო განყოფილება 3. დოლიძე, ტელეფონი 11—46.

### კრებანი.

— კვირას, ნოემბრის 24-ს, დილის 11 საათზე, თფ. სახელმწიფო უნივერსიტეტის დარბაზში დანიშნულია ამავე უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტის სტუდენტთა საერთო კრება.

— დღეს, საღამოს 5 საათზე, მეექვსე გიმნაზიაში, (უდელის ქუჩაზე) დანიშნულია ქალთა სოც. დემ. ორგანიზაციის სხდომა.

— დღეს, საღამოს ლექციების შემდეგ, ქართულ უნივერსიტეტში, პირველ აუდიტორიაში შესდგება ამავე უნივერსიტეტის მარქსისტ სტუდენტთა კრება.

— დღეს, 22 ნოემბერს, სად. 7 ს. საერთო დარბაზში შესდგება პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს კრება.

# რუსეთის ცხოვრება

### რუსული პოლიტიკური ცენტრი.

„კიევსკაია მისლის“ ცნობით, კიევში ეხლა დებატებია გამართული სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიების წარმომადგენელთა შორის, რუსული პოლიტიკური ცენტრის შექმნის გარშემო. კადეტების და მის მონათესავე პარტიების ხელმძღვანელნი საჭიროდ სცნობენ, რომ შეცვლილ იქნეს მათ მიერ უკანასკნელ ხანებში წარმოებული ტაქტიკა. განსაზღვრული ჯგუფების გავლენიანი წევრები იმ აზრის არიან, რომ უფის თათბირი ვერ შესძლებს გამოჰყოს ისეთი ცენტრი, რომელსაც შეეძლება რუსეთის ინტერესების დაცვა. ეხლა, როცა ომი თავდება, პოლიტიკური წრეების წინაშე წარმოსდგა საკითხი რუსეთის ყოფნის არ ყოფნის შესახებ. მომენტის მთავარი მოთხოვნილებაა დაუყოვნებლივი შექმნა ცენტრისა, რომელიც შეასრულებს რუსეთის ყველა სახელმწიფოებრივ ელემენტებს. ... შეიძლება შეიქნეს უმაღლესი ... მთავრობათა დამოუკიდებლადაც. ახლობელ ხომალ უნდა ჩაითვალოს უკრაინისა, დონსა და ყუბანში მყოფ ჯგუფების გაერთიანება. აზრად აქვთ შექმნან პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეთა კომიტეტი. განსაზღვრული ნაბიჯებია გადადგმული, რომ კომიტეტში შევიდნენ კავკასიის წარმომადგენლებიც. ამისთანა ცენტრის შექმნა თანაგრძნობას ჰპოვებს და მის დაარსებას დიდ მნიშვნელობას აძლევენ.

### ერობის მოღვაწეთა თათბირი.

კიევში შესდგა რევოლიუციის წინა საერობო მოღვაწეთა თათბირი. მოვიდნენ წარმომადგენლები უკრაინისა და ველიკორუსეთიდან 33 კაცი. მიიღეს დადგენილება რუსული პოლიტიკური ცენტრის შექმნისათვის, რომელიც შეეცდება გაერთიანებული რუსეთის აღდგენას. ერთი მიზანთაგანი ამისთანა ცენტრისა უნდა იყვეს შექმნა რუსეთის წარმომადგენლობისა საერთაშორისო საზავო კონგრესზე.

# ბრძანება

### გენერალ-გუბერნატორისა

საქართველოს რესპუბლიკის რკინის გზების და ფოთის ნავთსადგურის, მისი რაიონით.

№ 3.

ვალდებულად ვსთვლი მცხოვრებთ საქართველოს რესპუბლიკის რკინის გზის მიდამოებში და ფოთის პორტში, მისი რაიონით, (გარდა რკინის გზისა და ფოთის ნავთსადგურის მილიციის და სამხედრო დარაჯთა) დაუყონებლივ ჩააბარონ ადგილობრივ თავის რაიონის უფროსებს ხელ წერილის ქვეშ ყოველგვარი იარაღი, რომელიც მათ აქვთ, აგრეთვე ასაფეთქებელი მასალები და საომარი ხელსაწყო ერთი კვირის განმავლობაში—დღიდან ამ განკარგულებისა.

ადრე აღებული მოწმობები ყოველგვარ იარაღის ტარების და შენახვის შესახებ ჰკარგავს ძალას ზემო აღნიშნულ ვადის შემდეგ.

ამ ჩემი ბრძანების დამრღვევნი დასჯილი იქნებიან 6 ნოემბრის სავალდებულო დადგენილების ძალით.

გენერალ-გუბერნატორი გენერალ-მაიორი ყარალაშვილი.

კანცელარიის მმართველი ჩუბინიძე.

# ჩვენი ჯარების შექმნა და მისი მტერ-მოყვარენი

III

წინა წერილში ჩვენ მივუთითეთ იმ დემაგოგიაზე, რომელსაც ჩვენი მოწინააღმდეგენი აწარმოებენ მუდმივ ჯარსა და სახალხო გვარდიის ურთიერთ შორის დამოკიდებულების შესახებ. ეხლა შევეხოთ დანარჩენ მათ მოსაზრებებს ჩვენი ჯარის მოუწყობლობის საქმეში.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენში ჯარის საკითხში ბევრი ხელმძღვანელობს რუსეთის ჯარის მაგალითით და მასზე მითითებით. იგონებენ რუსის ჯარში არსებულ დისციპლინას, მის მომზადებას სამხედრო საქმეებში და ამავე საზომით უდგებიან ჩვენს დღევანდელ ჯარს. ეს კი, ჩემის აზრით, შემცდარი შეხედულებაა. ალბათ ავიწყდებათ, რომ რუსეთის ჯარი, როგორათაც ჩვენ მას რევოლიუციამდე ვიცნობდით, საუკუნოებით იქმნებოდა. საუკუნოები მოუნდა მათში დისციპლინის დამყარებას, რუსეთის მთავრობის განკარგულებაში მილიარდები იყო მუდმივი ჯარის შესაქმნელათ, ყოველგვარი ობიექტიური პირობები ხელს უწყობდა მთავრობას ამ საქმის მოსაგვარებლათ. და აი, ასეთ პირობებში მთელი საუკუნოების მუშაობისა და ცდის შემდეგ, ჩამოყალიბდა ძლივს-ძლივობით ის ჯარი, რომლის მაგალითად მოყვანა ხშირად უყვართ ხოლმე ჩვენში ზოგიერთებს.

ჩვენს ჯარს კი სულ სამი თუ ოთხი თვის ისტორია აქვს და არ ვიცი რა ჭკუა გონების პატრონი უნდა იყვეს ადამიანი, რომ ჩვენს მთავრობას მოსთხოვოს, რატომ სამ თვეში ვერ შექმენით ისეთი ჯარი, როგორც მაგალითად რუსეთის ჯარი იყოვო. ასეთ უმნიშვნელო და მცირე დროს განმავლობაში და მერე ისიც ასეთ პირობებში, თვით ჰინდენბურგიც ვერაფერს გახდებოდა. თუმცა ჩვენი მოწინააღმდეგენი უმთავრეს მიზეზათ ჯარის მოუწყობლობისას ასახელებენ იმ გარემოებას, რომ სამხედრო უწყებას სათავეში უდგას პროფესიით ნაფიცი ვექილი და არა რომელიმე გენერალი, მაგრამ ეს იმდენათ უსაფუძვლო დებულებაა, რომ ამაზე შეჩერებაც ზედმეტია. თუ ყველა ისინი, ვინც სამხედრო საქმეს ემსახურება და ჩვენი ჯარის შექმნისა და გაძლიერებისათვის არის რესპუბლიკის სამსახურში მიწვეული კეთილსინდისიერათ არ მოეპყრობიან თავიანთ მოვალეობას, ერთი კაცი, მარტო სამხედრო მინისტრი, თუ გინდ თვით ჟოფრი, ჰინდენბურგი ან სხვა რომელიმე გამოჩენილი სარდლები დააყენოთ, მაინც ვერაფერს გახდება.

რადგანაც დღეს ჩვენს ჯარს ხედავ, იცი თუ რა მოკლე დრო გავიდა მას შემდეგ რაც ჯარის შექმნას შევუდექით,

იცი აგრეთვე, თუ რამდენი დაბრკოლება, ობიექტიური ხასიათისა საერთო მდგომარეობის მიერ შექმნილი ხელს უშლიდა სამხედრო მინისტრს ჯარის შექმნაში, პირდაპირ განსაცვიფრებელია რაცა გვყავს და როგორიცა გვყავს ჯარი, ისიც როგორ მოეწყო ამ ხნის განმავლობაში. თუ ჩაუკვირდებით საერთო მდგომარეობას, თუ ზეზეურათ მაინც გადავავლებთ თვალს იმ მოვლენებს რაც თავს გარდაგვხდა, დღიდან საქართველოს დამოუკიდებლობისა, უნდა ითქვას მიუდგომლათ, რომ რაც არის გაკეთებული, ისიც საკვირველია. სამი და ოთხი თვე მარტო იმისათვის იყო საჭირო, რომ ხალხი მუდმივი ჯარის საკითხში ფსიხოლოგიურათ გარდაქმნილიყო, ყოველივე იმის შემდეგ, რაც ჩვენში დატრიალდა რუსეთის დიდი რევოლიუციის შემდეგ. თუ დღეს კიდევ გვყავს ჯარი, რომელსაც გაჭირვების დროს სხვა შეიარაღებულ ძალებთან ერთად შეუძლია იხსნას რესპუბლიკა გარეშე თავდასხმისაგან, ეს მიეწერება იმ გარემოებას, რომ ჩვენში თვით დემოკრატიამ იგრძნო დღევანდელ პირობებში ჯარის აუცილებლობა და მხურვალეთ მიიღო მონაწილეობა ამ საქმის მოგვარებაში, მიუხედავათ ათასგვარი დაბრკოლებისა. მეორეც ისა, რომ სამხედრო უწყების სათავეში უდგას ისეთი პიროვნება, რომელიც წარმომადგენელია ისეთი პოლიტიკური პარტიისა, რომელიც მთელი ჩვენი დემოკრატიის ნდობით არის აღჭურვილი. ჩვენი მოწინააღმდეგენი ამ კითხვას უბრალო ტეხნიკური ხასიათის კითხვათ სთვლიან და ასე ასაბუთებენ, რომ, რასაკვირველია, რომელსამე გენერალს უფრო დეტალურად ესმის ჯარის შექმნის ტეხნიკური მხარეები, ვინემ ნაფიც ვექილს. ჩვენ კი სამხედრო მინისტრის პოსტს პოლიტიკური თვალსაზრისით ვუცქერით. ჯარი იქმნება დემოკრატიის საშუალებით, უმთავრესად დემოკრატიამ უნდა გაიღოს მსხვერპლი ამ საქმისთვის. ის გზავნის თავის შვილთ ჯარში ისეთ პირობებში, როცა ხედავს, რომ მის ამ ხაჯკვეთილს ძალას ბოროტად არავინ გამოიყენებს. დემოკრატია ჯარის კაცებს მაშინ მისცემს მთავრობას, როცა ის ნდობით უცქერის ამ მთავრობას და დარწმუნებულია, რომ ეს მთავრობაც და ჯარიც მის ინტერესებს დაიცავს. თუ კი საერთოდ მთავრობის შემადგენლობა და კანსაკუთრებით სამხედრო უწყების სათავეში მდგომი ისეთი წრისაგან არის, რომელსაც დემოკრატია ალმაცერათ უცქერის, მაშინ სამხედრო მინისტრის თანამდებობაზე ორმოცი გენერალიც რომ დანიშნო, ჯარს მაინც ვერ შექმნის.

ჩვენი მოწინააღმდეგენი, ალბად, ივიწყებენ იმ გარემოებას, რომ ჯარის შექმნის ტეხნიკურ მხარეებს მაინც გენერალი ხელმძღვანელობს. სამხედრო მინისტრს ჰყავდა, ერთი დახლა კი ჰყავს ორი ამხანაგი სამხედრო საქმის ცოდნითა და უნარით აღჭურვილი გენერლები, რომელთაგან ერთი თავიდგანვე სპეციალურად ჯარის შექმნის საქმეს აწარმოებდა, თ ნახმად სამხედრო მინისტრის დავალებისა. ასე რომ, ამ საკითხში ჩვენი მოწინააღმდეგენი არსებითადაც არ არიან მართალნი. თუ კი ერთ პიროვნებაზეა დამოკიდებული ჯარის მოწყობა და ეს პიროვნება გენერალი უნდა იყვეს, როგორც ხედავთ გენერალი აწარმოებს ჯარის შექმნის ტეხნიკურ მხარეებს, მაგრამ თუ მაინც აქამდის არ გვყავდა შესაფერისად მოწყობილი და გაწვრთნილი ჯარი, მიზეზები, ალბად, სულ სხვა არის და არა ის, რომ სამხედრო მინისტრი ნაფიცი ვექილია. ეს დებულება მხოლოდ სადემაგოგიოთ არის ზოგიერთების მიერ მოყვანილი.

ამ რამდენიმე ხნის წინათ საშინლად გახშირებული იყო ჩვენს ჯარში დეზერტირობა. ამის მიზეზათ ჩვენი საზოგადოების მემარჯვენე წრეები უმთავრესად ასახელებდენ იმ გარემოებას, რომ ხალხს, დემოკრატიას არ სურს განამტკიცოს ჩვენი დამოუკიდებლობა, ვინაიდან ჯარი დღეს აუცილებელი საჭიროა და ამ ჯარის შექმნას არა თუ ხელს უწყობს, პირიქით, ანგრევს და სცარცვავს ხაზინას. რასაკვირველია, ჩვენ ხელს არ დავაფარებთ იმ შეუგნებელ და ბნელ ძალებს, რომლებიც მოდიოდნენ ჯარში, ღებულობდნენ ორ სამ წყვილ ტანისამოსს და მიიპარებოდნენ სახლში. იმ მასსიურ დეზერტირობას, რომელსაც ადგილი ჰქონდა წინათ ჩვენს ჯარში, ამას ჰქონდა თავისი გამომწვევი მიზეზები. ჯარის ნაწილებში შეიქმნა ისეთი ობიექტიური პირობები, რომ დეზერტირობამ ფართო ხასიათი მიიღო და ამ პირობების შექმნაში საგრძნობი როლი ითამაშა საქმისადმი გულციობამ და დაუდევრობამ იმ პირთა ერთი ნაწილისამ, რომლებიც მოწოდებულნი იყვნენ ჯარის აღსაზრდელად. ეს გარემოება ნათლად გამოირკვა იმ მცირე კომისიის მუშაობის დროს რომელიც პარლამენტის სამხედრო კომისიამ თავიანთ შორის გამოყო თფილისში მდგომ ჯარების დასათვალიერებლად, რათა გამოერკვია ძირითადი მიზეზები ჯარის მოუწყობლობისა. ამ კომისიის მუშაობის დროს ბევრი რამ გამოირკვა საყურადღებო, მაგრამ ამაზე შემდეგ წერილში.

ვიქტორ ნინიძე.

## ჩვენი ერობა

და საექიმო სახანიტარო ორგანიზაცია.

დიდი ხალხური ორგანიზაცია, ერობა, უკვე შეუდგა მუშაობას. ერობას ბევრი რამ აქვს გასაკეთებელი და საექიმო-სასანიტარო საქმე ჩვენი ერობის მოქმედების პირველ რიგში სდგას. საკითხი, თუ როგორ უნდა მოეწყოს სამაზრო საექიმო სასანიტარო ორგანიზაცია ჩვენს ახალ ერობაში, მეტათ სერიოზულია ერთი იმიტომ, რომ საექიმო-სასანიტარო საქმე უმთავრესი სამოქმედო ძარღვია ერობის მოღვაწეობაში და მეორეც იმიტომ, რომ ერობის სხვა სამოქმედო დარგები, როგორიც არის სასკოლო, აგრონომიული, ვეტერინარული და სხ. უნდა მოეწყოს ჩვენს ერობაში მსგავსათ იმ ტიპისა, რომელსაც ერობა მიიღებს საექიმო-სასანიტარო დარგისთვის. როდესაც მე ამას მოგახსენებთ, სახეში მაქვს რუსეთის ერობის მაგალითი. რუსეთის ერობაში საექიმო-სასანიტარო საბჭოები ჩამოყალიბდნენ 70 წლების დასაწყისში, ხოლო სასოფლო სამეურნეო ეკონომიური, სასკოლო, ვეტერინარული და სხვა საბჭოები კი ამოქმედდნენ მხოლოდ 90 წლებში, მსგავსათ საექიმო-სასანიტარო საბჭოების ტიპისა.

როგორის სახის იყო პირველად საექიმო სასანიტარო ორგანიზაცია რუსეთის ერობაში და რა საფეხურები გაიარა მან თავის ზრდა-განვითარებაში?

პირველად რუსეთის ერობის მოქმედების დასაწყისში, ყოველი დარგი ერობის სამოქმედო ფარგლიდან პირველ ყოფილ მდგომარეობაში, უბრალო, მარტივი სახისა იყო. ერობას ასეთ ხანაში შეეძლო ეწარმოებია ეს დარგი პატრიარქალური წესით: ერობის გამგეობას თვითეულად შეეძლო ან თითონ ან და საერობო ხმოსნების დახმარებით ყველა საქმე თითონ გაეკეთებია.

როცა საქმე გართულდა, გაიზარდა, გაფართოვდა—ერობის გამგეობას [illegible] შეეძლო ყველაფერი საქმის მოვლა-პატრონობა; მაშინ გამგეობას დასჭირდა მართვა-გამგეობის საქმეში ბრძანებითი წესის შემოღება. თვითონ გამგეობას არ შეეძლო ყველგან იყოს და ყველაფერი გაეკეთოს,—ის [illegible] გამგეობის ბრძანებას აასრულება, სისრულეში მოიყვანა.

შემდეგში, როცა ერობის საქმეები კიდევ უფრო გაგრძელდა, ერობის სამოქმედო ფარგალი უფრო გაფართოვდა, როცა ერობის მოსამსახურეთა რიცხვი გამრავლდა,—ეს მოსამსახურეები ასრულებდნენ გამგეობის ბრძანებას,—ცხადი შეიქნა, რომ ბრძანებითი წესი ვეღარ აღწევდა მიზანს. მართლაც, ბრძანებითი წესი ჰქმნიდა მარტოოდენ ფორმას, ქაღალდის საქმის წარმოებას, „კანცელიარშჩინას“, საქმისადმი გულგრილობას. მოსამსახურეები საქმეს არ აკეთებდნენ და გასამართლებელი მიზეზი კი ყოველთვის ჰქონდათ: „ასე მიბრძანეს, წინააღმდეგობა არ შემეძლო“, ან და „არ მქონდა ნაბრძანები, როგორ გამეკეთებინა“.

გარდა ამისა, დიდ დაწესებულებებში, სადაც ბევრი მოსამსახურეები იყო, ბრძანებლობის ნიადაგზე ბევრ უსიამოვნებას ჰქონდა ადგილი. ამ მიზეზების გამო ბრძანებითი წესი ერობამ შესცვალა მონარქიულ წესით. ერობამ გადასწყვიტა მთელი უფლება ადმინისტრატიული და საოჯახო სამეურნეო გადაეცა ერთი პირისათვის, რომელიც დამოუკიდებელი გამგე—მონარქი უნდა ყოფილიყო მთელი მისდამი რწმუნებული დაწესებულების. იმ დაწესებულებაში, სადაც სამოქმედო ფარგალი ვიწრო იყო, მოსამსახურეთა რიცხვი მცირე, ბიუჯეტი პატარა, — ასეთი მონარქიულ ბატონ პატრონობა არ იწვევდა დიდ განხეთქილებებს, მაგრამ თუ დაწესებულებაში ათეული და ასეული პირი მსახურებდა,—ვერც მონარქიული წესი აღწევდა სასურველ მიზანს. ავიღოთ მაგალითისათვის დიდი საავათმყოფო, სადაც რამოდენიმე ათეული ექიმი და რამოდენიმე ასეული სხვა მოსამსახურე მსახურობს. ასეთ საავათმყოფოში რომ მონარქიული ტიპის მართვა-გამგეობის საქმე რიგიანად მოეწყოს, საჭიროა განსაკუთრებული მეცნიერული და ზნეობრივი ავტორიტეტი საავათმყოფოს დირექტორისა თუ უფროსი ექიმისა, მისი მხრით არაჩვეულებრივი ტაქტი და თანამოსამსახურეებისადმი ზრდილობიანი მოპყრობა. მეორეს მხრით, საჭიროა მოსამსახურეებსაც ჰქონდეთ სიყვარული თუ არა, პატივისცემის და კეთილ განწყობილების სურვილი მაინც თავის უფროსისადმი და თავიანთ საქმისადმი. ასეთი სასურველი პირობების კომბინაცია ძნელი წარმოსადგენია და ამიტომ არ არის გასაკვირველი, რომ საავათმყოფო ასეთი მონარქიულ ტიპის მართვა-გამგეობით მუდამ იწვევდა დაუსრულებელ კონფლიქტებს, უწესობებს და

## მოემზადენით საზეიმოთ!

მშრომელმა ხელმა კვლავ ჩამოჰკრა მსოფლიო ზარსა,
ამცნო ქვეყანას მომავალი დიდი ჟამი...
მოემზადენით საზეიმოთ! ნუ ამბობთ „ზარსა“!
სრულის დიდებით განვიცადოთ ნანატრი წამი!

—

ვუცქიროთ სეირს ვით ინგრევა ქვეყანა ძველი,
ვუცქიროთ სეირს ტახტი ტახტზე როგორ ემხობა,
და მებრძოლ გმირებს გავუგზავნოთ სალამი წრფელი
და შევუთვალოთ—ახალ ქვეყნის ჩვენცა გვწვავს ტრფობა!

ვ. რუხაძე.

განხეთქილებებს. არც საოჯახო მხრით იყო ასეთი წესი მოხერხებული და იოლი. მაგ., ზოგიერთი ექიმები მოითხოვდენ, რომ მათი საავათმყოფოები ისე აეგოთ, რომ ექიმის ბინის ფანჯრიდან შესაძლებელი ყოფილიყო საავათმყოფოს ყურება, რათა ექიმის თვალს არ გამოპაროდა საავათმყოფოს ყოველი მოძრაობა. პატარა საავათმყოფოში თუ ეს შესაძლებელი იყო, დიდ საავათმყოფოში ათეული შენობებით და ვრცელი საადგილმამულოებით ეს შეუძლებელი იყო და ამიტომ ექიმი, მთავარი გამგე-პატრონი საექიმო დაწესებულებისა, ნებსით თუ უნებლიეთ იძულებული იყო სხვების დახმარებით გაეწია საქმის მართვა-გამგეობა.

საზოგადოებრივი აზრი ვერ ურიგდებოდა ვერც ბრძანებით და ვერც მონარქიულ სისტემას და ამიტომ დაბოლოს ერობამ საჭიროთ დაინახა მოეწყო საქმის მართვა-გამგეობა კოლეგიალურ წესზე,—კოლეგიალური ორგანოების შემწეობით, რომელშიაც უნდა შესულიყვნენ როგორც საქმის მცოდნე სპეციალისტები ამა თუ იმ დარგიდან, ისე საზოგადოების წარმომადგენლნიც.

პირველათ კოლეგიალური ორგანოები საექიმო-სასანიტარო საბჭოების სახით, საერობო მედიცინამ შექმნა რუსეთის ერობაში, როგორც მოგახსენეთ, კიდევ 70 წლებში და მხოლოთ 90 წლებში სანიტარული საბჭოების ტიპის მსგავსათ ასეთი საბჭოები ერობის სხვა დარგებშიც შემოიღეს: სასკოლოში, სამეურნეოში, სავეტერინაროში და სხ.

როგორი სახისაა სანიტარული საბჭოები რუსეთის ერობაში? სანიტარული საბჭოების მოქმედების ფარგალი არ არის ყველგან ერთი და იგივე. ზოგგან ასეთ საბჭოებს ისე უყურებდნენ, როგორც საერობო კრებების აღმასრულებელ კომისიებს, ე. ი. სანიტარულ საბჭოებს უნდა ეწარმოებია საექიმო საქმე ერობის გამგეობის დამოუკიდებლათ ისე, როგორც საერობო კრებები გადაწყვეტდნენ. ერობის გამგეობისათვის სავალდებულო იყო სანიტარული საბჭოების ყოველივე დადგენილება იმ შემთხვევაშიაც კი, თუნდაც გამგეობა წინააღმდეგი ყოფილიყო ასეთი დადგენილების. ასე იყო დაყენებული სანიტარული საბჭოები თავდაპირველათ მოსკოვის გუბერნიაში. მაგრამ 1893 წელს საერობო კრებამ საქმის ასეთი წარმოება დაჰგმო, რადგანაც, კრების აზრით, ეს არ შეეფერებოდა თვითმართველობის იდეას და ამიტომ სანიტარულ საბჭოებს კრებამ მიანიჭა სათათბირო დაწესებულების ხასიათი. უნდა ითქვას, რომ როგორც მოსკოვის, ისე სხვა გუბერნიების ზოგიერთ მაზრებში დარჩა ისევ ძველი წესი, მაგრამ უმთავრეს ტიპათ მაინც ცნობილი იქნა ნოვომოსკოვის ტიპის სანიტარული საბჭოები სათათბირო წესით.

როგორია სანიტარული საბჭოების შემადგენლობა?

სანიტარული საბჭოების შემადგენლობა არ არის ყველგან ერთი და იგივე. ჯერ ერთი ის, რომ ყველგან როდია ერთი და იგივე დამოკიდებულება ერობის გამგეობისა საბჭოებისადმი. მოსკოვის გუბერნიაში „საექიმო სასანიტარო საბჭო შესდგება სამაზრო საერობო გამგეობის წევრებისაგან, ქალაქის გამგეობის წარმომადგენლისაგან, 3—4 ხმოსნისაგან, რომლებიც ამორჩეულნი არიან საერობო ყრილობის მიერ სამი წლის ვადით, ყველა საერობო ექიმებისაგან, აგრეთვე ქალაქის და საერობო ვეტერინარულ ექიმებისაგან საერობო აფთიაქის გამგეებისაგან და ბოლო ხანებში საბჭოებში შედიან ფერშლების და ბებია ქალების წარმომადგენლნიც“. საზოგადოთ ერობის გამგეობა მთელი შემადგენლობით შედის სანიტარულ საბჭოებში, როგორც სრულ უფლებიანი წევრები და თავმჯდომარეობს საბჭოში სამაზრო საერობო გამგეობის თავმჯდომარე. „როგორც სათათბირო წევრები სამაზრო საბჭოს სხდომებზე შეიძლება მოწვეულ იქმნან სხვადასხვა დაწესებულებათა წარმომადგენლნი და სხვა პირნი, რომელნიც თავიანთი ცოდნით და გავლენით სასარგებლონი იქნებიან საქმისათვის“.

როგორია სანიტარული საბჭოების ფუნქციები და საქმის წარმოების წესი?

არც საბჭოების ფუნქციები და საქმის წარმოების წესია ყველა გუბერნიებში ერთი და იგივე.

რუსეთის ერობამ წარმოშვა ორი სხვადასხვა ტიპი.

ერთია—მოსკოვის ტიპი. ყველა საექიმო საქმეები აუცილებლათ უნდა გატარებულ იქმნას სანიტარულ საბჭოებში. ისეთი უბრალო საქმეც კი, რომლის გადაწყვეტა და გადაჭრა სულ ადვილათ შეიძლება საერთო კრების მიერ მიღებული კანონის თანახმათ, მაინც სანიტარულ საბჭოში უნდა გატარდეს. მოსკოვის ერობის გამგეობას არ ჰყავდა საერობო კანცელარიაში საექიმო საქმის მცოდნე პირი, თვით სანიტარულ საბჭოებს მოსკოვის ერობაში არ ჰქონდა აღმასრულებელი ორგანო; საქმის მწარმოებლათ სანიტარულ საბჭოს მართალია, ჰყავდა ექიმი, მაგრამ ის ცხოვრობდა სადღაც მაზრის კუნჭულში და არც იყო გაცნობილი საქმეების შინაარსს. მაზრები მოსკოვის გუბერნიაში პატარ პატარაა, საქმეები ცოტაა, სანიტარულ საბჭოების კრებების მოწვევა თავის რთული შემადგენლობით მოსახერხებელი იყო ხშირ-ხშირათ, თვეში ერთხელ მაინც, და ყოველივე ეს შესაძლებლათ ხდიდა მოსკოვის გუბერნიის ერობას მიეღო ეს ტიპი.

მეორე ტიპი—ხერსონის ტიპია. ხერსონის გუბერნიაში საქმის მდგომარეობა სულ სხვაა. ეს გუბერნია ფართო და ვრცელია, მაზრები დიდია, საექიმო საქმეები ღიდძალია, რის გამო ყოველთვიურათ სრული საბჭოების კრებების მოხდენა ძნელი იყო. ეს იყო მიზეზი, რომ ხერსონის გუბერნიის ერობამ შეიმუშავა საკუთარი ტიპი. წელიწადში 1—2-ჯერ ხდება ექიმების და ერობის წარმომადგენლების ყრილობები, რომელიც გრძელდება 2—3 დღეს. ამ ყრილობებზედ ირჩევა პრინციპიალური და არსებითი მნიშვნელობის საკითხები: ისმენენ ხოლმე ანგარიშებს, ხარჯთ-აღრიცხვებს, კომისიების დასკვნას, კომისიებს მინდობილი აქვთ წინასწარ შეიმუშაონ რთული საკითხები და კომისიები ამ საკითხებს იმუშავებენ ხოლმე არა საერთო კრებების დროს, არამედ თავისუფალ დროს. რაც შეეხება წვრილ მიმდინარე საქმეებს, რომლის გადაწყვეტა შეიძლება უკვე მიღებულ კანონის თანახმად, ასეთი საკითხები ყრილობებზედ არ ირჩევა. ამისათვის არსებობს სამაზრო საერობო სამმართველოსთან სანიტარული ბიურო, რომელსაც ჰყავს მუდმივი გამგე, სანიტარული ექიმი, რომელიც იმავე დროს ყრილობების მუდმივი მდივანიცაა და ამ ყრილობათა დადგენილებების აღმასრულებელი. მოვიყვანთ ზოგიერთ მუხლებს რუსეთის სამაზრო საექიმო სასანიტარო საბჭოს ინსტრუქციიდან საბჭოების ფუნქციების შესახებ.

„სანიტარულ საბჭოს გამგეობის საგანს შეადგენს: სანიტარული და საექიმო ნაწილი მაზრაში, სანიტარული ზედამხედველობა შინაურ ცხოვრებაზე, თვალ ყურის დევნება სანიტარული სავალდებულო დადგენილებათ, აღსრულებისა და ეპიდემიურ სნეულებათა გაჩენისა. საბჭო სცდილობს გამონახოს ზომები ჯანმრთელობისათვის მავნე გავლენათა ასაშორებლათ“.

„სანიტარული საბჭო იხილავს აქტებს, რომელიც შედგენილი იყვნენ სანიტარული სავალდებულო დადგენილებათა დარღვევის გამო“.

„სანიტარული საბჭო ყოველივე ზომებს ხმარობს ფართოდ მოაწყოს საექიმო დახმარება, თვალყური ადევნოს ექიმების და საზოგადოთ საექიმო პერსონალის მოქმედებას, თანახმად მათთვის დამტკიცებული ინსტრუქციისა, აგრეთვე თვალყური ადევნოს საერობო საავათმყოფოების მდგომარეობას, სამეურნეო და საექიმო მხრით. ის იხილავს საექიმო ნაწილის ხარჯთ-აღრიცხვას, ადგენს საავათმყოფოებისათვის საჭირო საგნების კატალოგს“.

„საერობო საექიმო პერსონალს ნიშნავს სამსახურში და ითხოვს სამსახურიდან საერობო გამგეობა სანიტარული საბჭოს დასკვნის მოსმენის შემდეგ“.

„სანიტარული საბჭო იხილავს და ამტკიცებს ანგარიშებს, მოხსენებებს უკეთებს საერობო ყრილობებს საექიმო და სანიტარული ნაწილის მდგომარეობის შესახებ, შეაქვს წინადადება საექიმო—სასანიტარო საქმის პრაქტიკულად გაუმჯობესობის შესახებ“.

„ფულის ანგარიშს უდგენენ საერობო გამგეობას“.

„საბჭო ირჩევს ექიმს დელეგატათ საექიმო ყრილობაზედ და ზრუნავს მიაწოდოს მას საჭირო მასალა მთელი მაზრის შესახებ“.

„ყველა საკითხები სანიტარულ საბჭოში სწყდება უბრალო ხმის უმეტესობით; ხმების თანასწორობის დროს თავმჯდომარის ხმა სწყვეტს საკითხს“.

„სანიტარული საბჭოს გადაწყვეტილებანი, რომელნიც არ ეწინააღმდეგებიან საერობო ყრილობების დადგენილებებს და საექიმო პერსონალის მოქმედების ინსტრუქციებს, მოყვანილი უნდა იქნეს სისრულეში.“

როგორც ხედავთ, თუმცა სანიტარული საბჭოები ყველგან ერთი და იგივე არ არის რუსეთის ერობაში, მაგრამ მათ საერთო მაინც ბევრი რამ აქვთ: ყველგან საბჭოები შესდგება სპეციალისტებისაგან და ხალხის წარმომადგენლებისაგან, ყველგან საბჭოები ხალხის ინტერესს ემსახურება, ყველგან საბჭოები საერთო, საზოგადო საქმისადმი სამსახურს ისახავს მიზნად და ამგვარად სანიტარული საბჭოები ნამდვილი საზოგადო ორგანოებია, აღმოცენებული საერობო დაწესებულებათა ნიადაგზე, როგორც ამ დაწესებულებათა ბუნებრივი გაგრძელება და განვითარების ნაყოფი.

(დასასრული იქნება)

ექიმი ხვ. პოლოშვილი.

## ღია წერილი

ი. გრიშაშვილს.

წავიკითხე თქვენი წიგნი „საათნოვა“. თქმა არ უნდა, სერიოზული ნაწარმოებია, თუმცა ბევრი რამ არის სადაოც შიგ. მაგრამ ამ ჟამათ მე ეს არ მაინტერესებს. ჩემს ყურადღებას იქცევს ერთი პატარა შენიშვნა, რომელიც სონეტებს შეეხება. იმ შენიშვნაში ჩამოთვლილია, თუ ვინ როდის დასწერა სონეტი და პირველ ადგილს მაყაშვილს აძლევთ, შემდეგ სხვებს და უკანასკნელათ მიხსენიებთ მე. ეს ასე არაა. თითქმის სადაოა, ვინ უწინ დასწერა ჩვენში სონეტი, მე თუ მაყაშვილმა, მაგრამ, რადგან მისი უწინ გამოქვეყნდა და ჩემი კი შემდეგ, სამართლიანობა მოითხოვდა, რომ ჩემთვის მეორე ადგილი მაინც დაეთმოთ, მაგრამ თქვენ ასე არ მოიქეცით ალბათ არ წაგიკითხავთ ჩემი ძველი სონეტები, რომელიც მოთავსებულია 1910 წ. გამოცემულ ჩემს „თაიგულში“ (იხილე გვ. 40) იმედია შემდეგისთვის მაინც გაასწორებთ ამ უნებლიეთ შეცდომას.

ვ. რუხაძე.

## ყვირილის ქალაქის საბჭო

9 ნოემბერს შეიკრიბა ქალაქ ყვირილის საბჭო. ქალაქის თავი კ. ბუაჩიძე აკეთებს ვრცელ მოხსენებას ქალაქის ბიუჯეტის შესახებ. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ქალაქის კასა ისეთ სავალალო მდგომარეობაში იმყოფება, რომ გამგეობას არ შეუძლიან პასუხი გასცეს ყველა იმ მოთხოვნილებებს, რაიცა აქვს ახლად გაქალაქებულ ყვირილას. უმთავრესი მიზეზი ქალაქის ბიუჯეტის არა სასურველი მდგომარეობისა ის არის, რომ დამფასებელი კომისიები ვერ მუშაობენ ნაყოფიერად და ამით ქალაქის გამგეობას ხელ ფეხი ებოჭება, გადასახადები დაადგან მოქალაქეთ და ამით ერთ ერთი შემოსავლის წყარო გაიჩინოს ქალაქმა. ამ მოვლენას საბჭომ მიაქცია ყურადღება და აირჩია განახლებული კომისია შემფასებელი, რომელმაც ქალაქის აღწერა უნდა დაათავოს დამლევ ნოემბრამდის. ქალაქის თავმა გააკეთა აგრეთვე მოხსენება, გადამდებ სენიან ავათმყოფთათვის თავშესაფარის მოწყობის შესახებ. ასეთი თავშესაფარი ქალაქ გარედ უკვე შეუძენია გამგეობას, დაუქირავებია ერთი ფერშალი და ორი სანიტარი.

დღიურ წესრიგში დაყენებული იყო საკითხად ბეითლის მოწვევა და სასაკლაოს მოწყობა. მცირე კამათის შემდეგ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ გამგეობამ მოიწვიოს ბეითალი და რაც შეიძლება მოკლე ხანში მოწესრიგდეს საკითხი სასაკლაოს შესახებ,

ამ ხუთი თვის წინათ ქალაქის გამგეობამ გახსნა მოარულ სენთან საბრძოლველად საავათმყოფო, ქალაქთა კავშირების განმანაწილებელ პუნქტმა ქალაქს მისცა 30 ლოგინი თავისი მოწყობილობით და მედიკამენტებით. ეს საავათმყოფო ხუთი თვის განმავლობაში დიდ სამსახურს უწევდა ადგილობრივ და სოფლის საჭიროებასაც. აქ მრავლად დაიარებიან სოფლიდანაც ავათმყოფები და ადგილობრივი მცხოვრებლებიც. ამ საავათმყოფოს მეოხებით მრავალი გადარჩა სიკვდილს. მხოლოდ საქმე ის არის, რომ უსახსრობისა გამო საავათმყოფო უნდა გამოეთხოვოს არსებობას, თუ მისი შენახვა არ ითავა ახლად გახსნილმა შორაპნის მაზრის საერობო სამმართველომ.

ამ დღეებში ქალაქის გამგეობამ გახსნა ქალაქის აფთიაქიც.

დასასრულ ქალაქის საბჭომ იქონია მსჯელობა წვრილმან საკითხებზე, როგორც არის ტრაქტირების გადასახადი მეტლეებზე გადასახადი და სხვა, რომლის შესახებაც მიღებულ იქნა შემდეგი გადაწყვეტილებები: ქ. ყვირილის სატრაქტირო გადასახადი დაწესდეს წლიურად 20,000 მანეთი, ამას მიემატოს კიდევ ყოველ წლიურად სხვადასხვა მხრიდან ჩამოსული ღვინით მოვაჭრენი, რომლებიც ადგილობრივად ხდიან ყურძენს და გააქვთ ღვინო, მათაც [illegible] 5,000 მანეთი წლიურად.

მეტლეებზე გადასახადის შემოღებას არ გამოუწვევია კამათი, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება რომლის ძალითაც მეტლეებმა უნდა გადაიხადონ წლიურად 60 მანეთი მედროგეებმა და მეურმეებმა წლიურად 50 მანეთი.

ვერხვი.

## ძველი ვაშნარის და ოძხამურის გმირებს

სოფელ ვაშნარში და ოძხამურში, როდესაც ოსმალეთის ურდოები შემოესია თავისუფალ საქართველოს, ერთმა მუჭა ხალხმა თავი დასდო უსწორო ბრძოლაში ერის გადასარჩენათ. მომავალი თაობა არ გვაპატიებს, რომ ღირსეულად არ აღვნიშნოთ ეს მოვლენა. ამისათვის გაახლებთ რა ჩვენს წვლილს, ამხ. რედაქტორო, გთხოვთ გადასცეთ დანიშნულებისამებრ. ვალ. ქავთარაძე, თედორე ქარციველი, პეტრე კანდელაკი, არის. მშვიდობაძე.

გაახლებთ 100 მან. ე. ი. ოც-ოცდა ხუთ მანეთს თითოსაგან.

## ალექ. კ. ვაშაკიძე

(ზაგლობა)

ნოემბრის შუა რიცხვებში მოულოდნელად გარდაიცვალა თფილისის რკინის გზის უმთავრეს სახელოსნოს ტეხნიკი ა. კ. ვაშაკიძე.

მე ის გავიცანი 1907 წელს. ღრმწენით ალექსანდრე სოციალ დემოკრატი იყო და იმ დროს, როდესაც გამძვინვარებული რეაქცია ანგრევდა რევოლიუციონურ ორგანიზაციებს და პარტიული მუშაკები დიოგენის ფანრით ეძებენ საძებარნი და მომეტებულნი საკუთარ ტყავის გადარჩენაზე ფიქრობდნენ—ამ დროს, რკ. გზის სახელოსნოში მხოლოდ ორი მარქსისტულად მოაზროვნე ინტელიგენტი არ სტოვებდნენ და დანგრეულ ს.-დ. ორგანიზაციებს გაორკეცებული ენერგიით კვლავ აშენებდნენ. ესენი იყვნენ ქ. გოგუა და აწ განსვენებული ალ. კ. ვაშაკიძე. ის ხშირად გვეტყოდა ხოლმე მის ირგვლივ დარჩენილ პატარა წრეს: „სულით ნუ დაეცემით, ვიბრძოლოთ, მხოლოდ ბრძოლით ვიპოვებთ თავისუფლებას!“.

გარდა პარტიულის მუშაობისა, ალექსანდრე მწერლობაშიაც იღებდა მხურვალე მონაწილეობას, „ზაგლობის“ ფსევდონიმით. ხშირად „ეშმაკის მათრახში“ იბეჭდებოდა მისი წერილები.

1910 წელს შეიპყრეს ალექსანდრე და როსტოვში გადაასახლეს. თვითმპყრობელობის დანგრევის წინა დღეებში ალექსანდრე გაანთავისუფლეს. იგი სრულიად გამოცვლილიყო: არეულ ცხოვრებას მისთვის ნერვებიც აეშალა. იმდენად მოშლილი იყო მისი ჯანმრთელობა, რომ მან ვეღარ იგემა ძვირფას თავისუფლების ნაყოფი და უდროოდ გამოგვტაცა ხელიდან შეუბრალებელმა სიკვდილმა. მას დარჩა მთელი ჯარი ოჯახის წევრებისა მასზე შემცქერალნი: მოხუცი დედ მამა, მეუღლე, ძმა და ხუთი და, რომელთაც პატრონობა ეჭირვებათ.

მშვიდობით ძვირფასო ამხანაგო ალექსანდრე! ჩემი ნუგეში შენგნით დაობლებულს ოჯახს რას არგებს, მაგრამ მაინც მათ მწუხარებას ვუერთდები და ვიზიარებ.

შენი ამხ. დ. ი. ლორთქიფანიძე.

## გადასახადების აკრება სოფლად

შემოსავლის კვალობაზე გადასახადის აკრება სოფლად ძლიერ რთულ საქმეს წარმოადგენს. შემოსავლის მიხედვით გადასახადის გადება ღარიბ გლეხობას გაანთავისუფლებს გადასახადიდან და სამაგიეროთ მდიდარ გლეხებს დააწვება კისრად ეს მოვალეობა. ეს დიდი რეფორმაა ღარიბი გლეხკაცობისთვის, მაგრამ საქმე ისაა, რომ რეფორმას განხორციელება უნდა და ეს იწვევს სწორედ სირთულეს. რეფორმის გატარებამ ხელი უნდა შეუწყოს სახელმწიფოს ფინანსიურ მდგომარეობას და მშრომელ მასსასაც საშუალება მიეცეს ცხოვრების გაუმჯობესებისა. გადასახადები უნდა განაწილდეს სოფლის გლეხებზე შემოსავლის კვალობაზე. ამ ხანათ მთავრობა უკვე შეუდგა გადასახადების აკრებას და ცხადია, მოკრება წესიერად დასრულდება, მაგრამ მე მინდა მივუთითო მთავრობას მეორე მხარეზე. როგორ ანაწილებენ გადასახადს სოფელში გამწერლები? ამ მხრით საქმე სწორედ ვერ არის დაყენებული ისე, როგორც ამას კანონი მოითხოვს. გადასახადი უნდა იწერებოდეს შემოსავლის კვალობაზე, ვისაც 1000 მანეთზე მეტი შემოსავალი აქვს, კანონის ძალით, იგი იხდის გადასახადს, მაგრამ ჩვენ სოფლებში გამწერლები ამას არ ასრულებენ, ზოგი გაუგებრობით და ზოგიც, რასაკვირველია, განგებ. ბევრ გაუგებრობას იწვევს ეს რეფორმები; რამოდენიმე გამწერმა პირადათ მაჩვენა ბლანკები, რომლის ზოგიერთი პუნქტები ვერ გაეგო და ბევ-

რი გლეხი განთავისუფლებინა გადასახადიდან. მაგალითისთვის მოვიყვან სოფ. სვირს, სადაც გლეხობა ეკონომიურად ღონიერია. ამ სოფელში 1500 კომლში 500 კომლს თუ აქვს შეწერილი გადასახადი, მაშინ როდესაც 20 კომლში ოთხი თუ იქნება ისეთი, რომელსაც 1000 მანეთზე ნაკლები შემოსავალი ჰქონდეს. გამწერლებს არ მიუღიათ მხედველობაში არც გასესხებულ ფულიდან შემოსული სარგებელი, არც სხვა შემთხვევითი შემოსავლები, ღვინის გარდა. ერთ კუთხეში, სადაც ორასი კომლი სცხოვრობს, გადასახადი აქვს შეწერილი 70 კომლს, როდესაც კანონის მიხედვით 150 კაცს უნდა ჰქონდეს შეწერილი. ასეთი სურათი თითქმის ყველგანაა და თუ ეს ასე ხდება ასეთ დაწინაურებულ სოფელში, რაღა იქნება სხვა მიყრუებულ ალაგებში, სადაც წერა კითხვის მცოდნე თითზე ჩამოსათვლელია. ასეთ სოფლებში ბლანკებისას გლეხები ვერას გაიგებენ. ჩვენი ხარჯთ ამკრები ინსპექტორები, ამ შემთხვევაში მხოლოდ ბიუროკრატიული მიწერ მოწერით კმაყოფილდებიან.

საჭიროა ერობამ სასურველად მოაწესრიგოს ეს საკითხი. აუხსნას ხალხს თუ როგორ ხდება შემოსავალ გასავლის მიხედვით გადასახადების აკრება, თორემ ისეთ გაუგებრობას ექნება ადგილი, როგორც ეს დასახელებულ სოფელში მოხდა. ამით ხაზინაც ვერ ისარგებლებს და ვერც ღარიბი გლეხები იგრძნობენ რეფორმის სარგებლობას.

გალო ხელიარი.

## ახალგაზრდა მარქსისტთა ორგ: ნიზაციებს

ამხანაგებო! დეკემბრის პირველ რიცხვებში განახლდება ჟურნალ „ახალი ქვალის" გამოცემა. თქვენ იცით, თუ როგორი პირობებია დღეს. ქაღალდი მარშანდელთან შედარებით ერთი ათად გაძვირებულია და არც იშოვება. ასეთსავე მდგომარეობაშია ასოთ-ამწყობთა შოვნა და ჟურნალის ბეჭვდა. მიუხედავათ ასეთ არანორმალურ პირობებისა, ჩვენ მაინც ვბედავთ ჟურნალის გამოცემას, დარწმუნებული, რომ ამ საქმეში პროვინცია ჩვენთან იქნება.

რომ ჟურნალის გამოცემა არ შეფერხდეს, გთხოვთ საჩქაროთ გვაცნობოთ შემდეგი:

1) რამდენი ცალის გასაღება შეგიძლიათ (თუ ჟურნ. ღირება 1 მან.), 2) ვის ადრესზე გამოვუგზავნოთ ჟურნალი (ჟურნალი მოუვა „ერთობის" ადგილობრივ აგენტს). აგრეთვე გთხოვთ საჩქაროთ გამოგზავნოთ 1) ჟურნალის დარჩენილი ფული და ფონდის ხვედრი ფული, 2) წერილები, კორესპონდენციები ჟურნალისთვის. ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: თფილისი, გოლოვინის პრ. № 12 „ახალი ქვალის" რედაქცია.

„ახალი ქვალის" სარედაქციო კოლეგია.

## ფარმაცევტთა შორის

ამას წინად მთავრობამ კომისია შეადგინა სააფთიაქო სახელმწიფო ნიხრის შესამუშავებლად. ფარმაცევტთა პროფესიონალური კავშირის წარმომადგენლებმა შემდეგი განსაკუთრებული მოსაზრებანი წარუდგინეს შინაგან საქმეთა სამინისტროს:

განვიხილეთ რა მთელი მუშაობა ნიხრის კომისიის წევრებთან ერთად, ჩვენ ფარმაცევტ-მოსამსახურეთა წარმომადგენელნი ვსცნობთ, რომ კომისიამ შეაგროვა აუარებელი მასალა, ყოველ მხრივ შეისწავლა ის და სწორათ შეადგინა ნიხრი. მიუხედავად ამისა, კომისიას მაინც შეეპარა რამოდენიმე შეცდომები, რასაც ჩვენ მივაქციეთ კომისიის ყურადღება, მაგრამ უკანასკნელი ჩვენ არ დაგვეთანხმა, რაც გვაიძულებს ჩვენ ცალკე წერილობითი მოხსენება შემოვიტანოთ.

მთავრობის წინაშე დასამტკიცებლად წარსადგენ აფთიაქის ნიხრზე, კომისია ხელმძღვანელობდა ზოგიერთ მოსაზრებებით, რომელიც ხელს უწყობდა ნიხრის ზომაზე მეტად გადიდებას.

ჩვენ ვსცნობთ:

1) გაადიდეს რა ყველა მედიკამენტების ფასი 150 პროცენტით და მეტით, კომისიამ მაინც ძალაში დასტოვა ძველი, გამომუშავებულ ნიხრზე ზევით, 20 პროცენტიანი დამატება, რომელიც შემოღებული იყო სამი წლის წინ. მაშინ, როცა სააფთიაქო ბაზარს მასალას აწვდიდა რუსეთი, ჩვენმა მეაფთიაქეებმა მოიყვანეს რა მოტივათ მედიკამენტის სიძვირე საზოგადოთ და კერძოთ კავკასიაში, ნება აიღეს მაშინდელ მთავრობისაგან ოცი პროცენტი დამატების. მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა; მოხდა ისიც, რომ ზოგიერთები ჩვენში ფეხით გაიაფდა, ვინემ ცენტრში, ვინაიდან სპეკულიანტებმა უცბად შემოიტანეს რუსეთიდან ბევრი საქონელი. მოხდა ის, რომ ჩვენ ცენტრად გადავიქეცით და 20 პროცენტიანი დამატება დარჩა დღემდე, რაც მოსამ-

სახურეთა აზრით არანორმალურია ახალ ნიხრში და ამიტომ ის უნდა გაუქმდეს, მით უმეტეს, რომ ახალი ნიხრის შედგენის დროს გამოანგარიშებული იყო ადგილობრივი ბაზრის პირობები.

2) რეცეპტზე ნიხრის შედგენის დროს შრომისთვის „taxa laborum" კომისიამ გაადიდა არსებული ნიხრი 100 პროცენტით „მაშინ, როდესაც მოსამსახურეებს მოემატათ 200 მანეთი, რაც საშუალოდ შეადგენს ერთ მესამედს იმ თვიურ შემოსავლისას, რომელსაც ღებულობენ. ჩვენ ვსცნობთ, რომ „taxa laborum." არ უნდა იქნეს გადიდებული 33 და ერთი მესამედი პროცენტზე ზევით, რაც სავსებით არ არის საქმის მდგომარეობისაგან გამოწვეული

3) ამას გარდა, მოსამსახურეთა წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ აფთიაქში ერთი ნიხრის მეტი სხვა არ უნდა არსებობდეს, როგორც მაგალითად, ბაზარზე გასაყიდის ნიხრი, რომ აფთიაქში ყველა, არა რეცეპტით გაშვებული საქონელი ფასდებოდეს საერთო ნიხრით და რომ ასეთების გაშვებაზე მათზე აღნიშნულ იქნეს ფასები.

## ს.-დემ. პარტიაში

ყვირილა შორაპნის რაიონის სოც.-დემოკრატიული კრება შესდგა 8 ნოემბერს. დღიურ წეს-რიგში განსახილველი იყო შემდეგი საკითხები: 1) მიმდინარე მომენტი 2) სარევიზიო კომისიის მოხსენება, 3) დამფუძნებელი კრება და დეპუტატების დასახელება, 4) ინტერნაციონალი, 5) ჯარი და გვარდია, 6) მაზრის და რაიონების კომიტეტების დაარსება 7) ყრილობაზე გასაგზავნი დელეგატების არჩევნები, 8) კომიტეტის რეორგანიზაცია, 9) ერობის გამგეობის არჩევნები, 10) პარტიული მუშაობა. მომენტზე მოხსენებას აკეთებს ამხ. პ. გოგიაშვილი. ყრილობამ მოისმინა რა მოხსენება, მიიღო შემდეგი რეზოლუცია: პარტიულმა ყრილობამ მოისმინა რა მოხსენება მომენტზე, გამოაქვს შემდეგი დასკვნა: შინაური მდგომარეობა რესპუბლიკის ფარგლებში სავსებით სანუგეშოა, პროლეტარიატის და შეგნებული გლეხკაცობის თავგანწირულმა ბრძოლამ, ჩვენი მთავრობის გონიერი მოქმედების საშუალებით უკვე შესძლო დემოკრატიული რესპუბლიკის განმტკიცება და რუსეთის რევოლუციის მონაპოვართა შენარჩუნება. ყრილობას ღრმადა სწამს, რომ არ არსებობს უკვე არავითარი ძალა რესპუბლიკის ფარგლებში, რომელიც მისთვის, რესპუბლიკისთვის სერიოზულ საშიშროებას წარმოადგენდეს, თუ კი, რასაკვირველია, თავისუფლების შეუპოვარი მშრომელი დემოკრატია, კვლავ განაგრძობს თავის ჩვეულებრივ ენერგიულ მოქმედებას და მის გონიერულ ხელმძღვანელობას, კვლავ გაამართლებს რესპუბლიკის მესვეურნი. ყრილობა მიმოავლებს რა თვალს გარეშე საერთაშორისო მდგომარეობას, აშკარად გრძნობს მჭიდრო კავშირს საქართველოს დემოკრატიის თავისუფლების განმტკიცებისას მთელი მსოფლიოს დემოკრატიის გაძლიერებასთან ერთად. ამ მხრივ ყრილობა აღფრთოვანებით ეგებება გერმანიის დემოკრატიის მართვა-გამგეობის სათავეში ჩადგომას, ის იმედოვნებს, რომ დაწყებული მოძრაობა შეთანხმების სახელმწიფოთა პროლეტარიატისა სწრაფი ტემპით გაექანება წინ და გვერდში ამოუდგება, გერმანიის დემოკრატიასთან ერთად, მთელი მსოფლიოს მაშვრალთ. ყრილობა აქეთ მოუწოდებს მუშათა კლასს, საბოლოოდ გამოუტანოს იმპერიალისტებს სასიკვდილო განაჩენი.

სარევიზიო კომისიის წევრმა ამხ. ავ. ცქიტიშვილმა გააკეთა მოხსენება კომისიის მოქმედების შესახებ. აღნიშნა, რომ სარევიზიო კომისიის წევრნი ვერ შეიკრიბენ და ამიტომ ვრცელი რევიზია ვერ მოვახდინეთო. ამის შესახებ კრებამ დაადგინა, რომ არჩეულ იქნეს ორი წევრი ახალ სარევიზიო კომისიისთვის, რომლებიც შესძლებენ მუშაობას და მომავალ კრებისთვის გაგვაცნობენ საქმის ნამდვილ ვითარებას. კრებამ დაასახელა ამხ. ვ. გაბულაია და ვ. გოცაძე, რომლებიც არჩეულ იქნენ სარევიზიო კომისიის წევრებათ.

დამფუძნებელი კრების შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. პ. მეტრეველი. მოხსენების მოსმენის შემდეგ კრება ასახელებს კანდიდატებს დამფუძნებელი კრებისთვის, არჩეულ იქნა ორი ამხანაგი.

ინტერნაციონალის შესახებ მოხსენებას აკეთებს ს. ედიბერიძე.

ჯარისა და გვარდიის საკითხს შეეხო ამხ. გ. კაპანაძე; მან აღნიშნა, რომ მუშა-გვარდიელი, როგორც აქამდე, უნდა მუშაობდეს თავის დაზგასთან და როდესაც საჭირო იქნება რესპუბლიკის დაცვა, ის მყისვე უნდა გავიდეს ბრძოლის ველზე. ამ საკითხის შესახებ ყრილობამ მიიღო შემდეგი დადგენილება: ყვირილა-შორაპნის რაიონის პარტიული ყრილობა ითვალისწინებს რა საქართველოს დემოკ. რესპუბ. წინააღმდეგ ამხედრებას

შინაურ და გარეშე მტრებისას, საჭიროდ აღიარებს ჩვენი დამოუკიდებლობის და რევოლუციის მონაპოვართა შესანარჩუნებლად სახალხო გვარდიის არსებობას და მის კადრის გაფართოებას, როგორც მაზრებში, ისე ცენტრებში, და აგრეთვე დასძენს, რომ მუშებისაგან შემდგარი გვარდიის მობილიზაცია ხდებოდეს განსაკუთრებულ პირობებში, როდესაც რევოლუციის მონაპოვარი და საერთოდ რესპუბლიკა საფრთხეშია, დაუბრუნდენ გვარდიელები სამსახურს მოვალეობის კეთილად დაგვირგვინებისათანავე.

საოლქო სიგზლზე არჩეულ იქნენ შემდეგი დელეგატები: ვ. მერკვილაძე და კარლო ჩხეიძე.

პარტიულ მუშაობაზე მოხსენებას აკეთებს ამხ. პ. გოგიაშვილი. ის აღნიშნავს შემდეგს: პარტიული მუშაობა სწარმოებს იმდენად, რამდენადაც შესაძლებელია მუშაობა იმ ამხანაგებისაგან, რომლებიც სხვადასხვა დემოკრატიულ მუშაობას ეწევიან, მაგრამ ამავე დროს, კომიტეტს ჰყავს სამი სპეციალური პროპაგანდისტი, რომლებიც მუშაობენ შორაპ. მაზ. მ რაიონ. ამ საკითხის შესახებ ყრილობამ მიიღო შემდეგი დადგენილება: მიუხედავათ იმისა, რომ პარტიული მუშაობა მოიკოჭლებს, დღევანდელ პირობებში ის უნდა ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად, მხოლოდ პარტიული კომიტეტი ეცადოს პარტიულ მუშაობის გაფართოებას და წევრების გათვითცნობიერებას.

პარტიულ მუშაობას აგრეთვე ხელი უნდა შეუწყონ კომიტეტთან ერთად პოდკოლექტივებმა.

დანარჩენი საკითხები, ვინაიდან დრო ცოტა იყო, გადაიდო მომავალ პარტიულ კრებისათვის. ვე—ნი.

## მუშათა შორის

ადიდხანოვის ძარხნის მუშათა შორის. საკმაო იყო რომ მუშათა კრებებზე სოციალდემოკრატს ან კიდევ მეტ ქართველს ელაპარაკნა, რომ მის პირველ სიტყვისთანავე მიატოვებდნენ ხოლმე კრებას ერთი დიდი ნაწილი მუშებისა, რომლებსაც სული და ხორცი დაშნაკცუტიუნის პარტიისათვის უსინათლოთ ჩაუბარებიათ. რამდენჯერაც ვცდილობდით მათთან ერთად მთლიანი კავშირის შექმნას, იმდენად ესენი შორს დგებოდნენ. როდესაც ვერც ჩვენ და ვერც ცენტრალური კავშირის წარმომადგენლებმა ვერ შესძლეს ამათზე ვკრავითარი გავლენის მოხდენა, ჩვენ იძულებული გავხდით დაგვეარსებინა კავშირი მხოლოდ მსურველთათვის. კავშირის დაარსების შემდეგ ჩვენ მაინც არ გავვიწყვეტია ცდა და საუბარი დაშნაკელ მუშებთან კავშირში შემოსვლაზე, ლექტორიც კი მოვიწვიეთ სომხურ ენაზე ლექციების წასაკითხავათ, მაგრამ საქმეს არაფერი ეშველა. მათ დაჰპატრონებია ბ-ნი გურგენ დავითიანცი, რომელიც თავისუფლად განაგებს მათ ბედ-იღბალს თავისი „მე"-ს სურვილისამებრ. კავშირის დაარსების შემდეგ, ბ-ნ დავითიანცს აღეძრა დიდი სურვილი, თავის პარტიის წევრების კავშირში შემოყვანისა და მათი საშუალებით კავშირში თავის თავის გაბატონებისა, მაგრამ ყველა ეს დროებით სურვილათ რჩებოდა.

მალე აქციონერულ საზოგადოებაში მოხდა დიდი ცვლილება. მოხდა ლიკვიდაცია მთავარ შესამოს სახელოსნოსა, რის გამო ჩვენ კავშირს ათასამდე მეტი წევრი მოაკლდა და დასუსტდა კიდეც. სწორედ ეს დრო იყო მეტად ხელსაყრელი ბ-ნ დავითიანცისთვის, რომ თავის სურვილები განეხორციელებია და, რასაკვირველია, კიდეც შეუდგა საქმეს. შემოიკრიბა თავის თაყვანისმცემელნი და მათის დახმარებით ათას ხრიკებს მიმართა მუშათა გათიშვისათვის, მაგრამ როდესაც ვერაფერს გახდა, მოითხოვა კავშირის გამგეობაში თანასწორი რიცხვით ფრაქციული წარმომადგენლობა. ჩვენც იძულებული შევიქენით დაგვეკმაყოფილებია უკანასკნელი მოთხოვნილება. ამრიგად, ჩვენი კავშირის გამგეობას მოუხდა ჩამოყალიბებულიყო ორი ფრაქციის, ს. დ. და დაშნაკელების თანასწორ რიცხვით წარმომადგენლობაზე. და დაშნაკელები დაჟინებით მოითხოვდნენ თავმჯდომარეთ აერჩიათ ბ. დავითიანცი, რომელიც არჩეულ იქნა და მის ამხანაგად კი ი. შანიძე. ბ-ნი დავითიანცი დაინტერესებული იყო თავმჯდომარეობით იმიტომ, რომ ამით თამამად სამინისტროებში ევლო და სხვადასხვა დაწესებულებებში ეკეთებია მუშათა სახელით ის, რასაც მას დაავალებდნენ ამ საზოგადოების აქციონერ-დირექტორები.

ადგილობრივ მუშათა საქმეში ის იმდენად იყო დაინტერესებული, რამდენადაც ამას თავისი პირადი ინტერესები მოითხოვდა. დადებით მუშაობას თითქმის ჩვენი ფრაქცია აწარმოებდა. გაურბოდით ფრაქციათა შორის კონფლიქტებს, რათა მუშათა საქმეს თავის სიმაღლიდან არ დაეწია. სიტყვა „ქართველი" და „სომეხი" ს ხსენებას ვერიდებოდით, რომ რაიმეს მიზეზი არ გამხდარიყო, მაგრამ არ იქნა და არ ეშველა! ჩვენ მაინც

ვერ გამოვნახეთ უებარი წამალი, დაშნაკელ მუშებთან ხანგრძლივ მშვიდობის ჩამოსაგდებათ ბ-ნ დავიდიანცის წყალობით.

ბ-ნი დავიდიანცი ადილხანოვის მუშათა მოსამსახურეთა კოოპერატივშიაც თავმჯდომარეთ იყო. მოხერხებულმა დავიდიანცმა თავის კომპანიით შესძლო ამ კოოპერატივის წევრთა თვალის ახვევა თითქმის ორი წელიწადი. ამ ხნის განმავლობაში მათ თითქოს ერთხელაც არ მოუწვევიათ საზოგადო კრება, გავიდა დრო, კოოპერატივი დაცალიერდა, გამგეობის წევრები სულ ყველა ჩამოჰშორდა გარდა ერთი ს. აუშტროვისა. მუშებმა ანგარიში მოითხოვეს. ანგარიშების გადასამოწმებლად მოწვეულ იქმნა ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირისაგან, ერქომაიშვილი, რომელმაც 8 დღის მუშაობის შემდეგ განაცხადა, რომ ამ კოოპერატივს, მუშათა სახელით დიდი სპეკულიანტების საქმე უკეთებია და თუ მალე ზომებს არ მიიღებთ ახალი არჩევნებისთვის, კოოპერატივს „გივესკას" აეხსნით და კავშირის გარეშეთ გამოვაცხადებთო.

ანგარიშებიდან აღმოჩნდა, რომ კასას აკლია ნაღდი ფული 9500 მან., დარჩენილი საქონლის გადათვალიერების დროს ვნახეთ გადამალული ერთი დიდი ტომარა ბრინჯი, როდესაც ეს ბაზარზე არ იშოვებოდა და წევრებს უარითისტუმრებდენ.

ინსტრუქტორის წინადადებით საზოგადო კრება იქმნა მოწვეული. კრებაზე ერქომაიშვილმა გააკეთა ვრცელი მოხსენება და ფარდა ჩამოხადა მთელ მოროტებას და შეაფერი მხჯავრი გამოთქვა საზოგადო საქმეში ასეთ მოღვაწეობაზე. კრებამ დაადგინა დაუყონებლივ ძველი გამგეობა, დავიდიანი თავის კომპანიით, მისცენ სასამართლოში. ჩანიშნენი ბიუროტებისთვის და იქვე მოხდა არჩევნები ახალი გამგეობის წევრებისა, კოოპერატივის ჩასაბარებლად. ბ-ნი დავიდიანცი კრებას არ დასწრებია. იგი თავის შავი საქმეების გათეთრებას, მუშათა შორის ნაციონალური შუღლის გაღვივებით შეუდგა. მან შემოიერთა თავის განზრახვების სისრულეში მოსაყვანათ ორი-სამი მთავარი კანტორის მოსამსახურე, ჩამოწერეს ქაღალდი საზოგადო კრების დადგენილების წინააღმდეგ, ახალი კრების მოსაწვევად და მოაწერინეს ხელი ბრმა თაყვანისმცემლებს, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა და ამით ვერაფერს გახდა. კრებაზე გამოვიდა „ქართველ" ინსტრუქტორს და „ქართველ" გამოძიებლებს სდებს ბრალს და თავის მოწვეულ კრებას ასეთი სიტყვით მიმართა: „რა უყო რომ სომეხი ვარ და თქვენი ინტერესების დამცველი, მაგათ უნდათ აქედან მომაშორონ, ციხეში ჩამსვან, გმართებთ სირცხვილეო".

დავიდიანცი ჰაერს სწამლავს და შესაძლოა სამუდამოთ ჩაანგრიოს ხიდი ქართველ-სომეხ მუშათა შორის.

რვა ნოემბერს მოვიწვიეთ კავშირის არაჩვეულებრივი გამგეობის კრება. კრებას დაესწრენ ორივე ფრაქციის წარმომადგენლები. კითხვა იყო ბ-ნ დავიდიანცზე. დიდი თათბირის შემდეგ, ხუთი ხმით ორის წინააღმდეგ, ერთმა თავი შეიკავა, გადაწყდა: ყველა ზემოთ ჩამოთვლილ მიზეზების გამო დავიდიანცი გადაყენებული იქმნეს კავშირის თავმჯდომარეობისაგან და მის მაგიერ დროებით არჩეულ იქმნას ამხ. ი. შანიძე. რასაკვირველია, რომ ამ ამბავმა დიდათ გაოცა ბ-ნი დავიდიანცი და პირველი შეხვედრისთანავე დესპოტიურად დაიძახა: „შემცდარხართ, მე ვარ და არ ავიღებ ხელს თავმჯდომარეობაზეო". სასაცილო იყო ასეთი განცხადება.

დავიდიანცს გაუმზადებია ჩვენი ფრაქციის და კავშირის წინააღმდეგ საპროტესტო წერილი. ამ წერილში დავიდიანცის ქებათა-ქება. ატარებენ მისი მარჯვენა ხელები ამ წერილს უწერა-კითხვო მუშებში და რას სჩადიან? ვინც მისი მონა-მორჩილია, ხომ მოაწერს ხელს ჩვენ წინააღმდეგ და ვინც დავიდიანცის წინააღმდეგია, მას ეუბნებიან, დავიდიანცი უნდა დავათხოვნინოთ და აწერინებენ ხელს.

აუცილებელი საჭიროა ჩვენ შორის შექმნილ მდგომარეობას, რაც შეიძლება მალე სათანადო ყურადღება მიაქციოს კავშირთა ცენტრალურმა საბჭომ, რადგან სულ ადვილი შესაძლებელია, შექმნილმა მდგომარეობამ ხელიდან გამოგვაცალოს მუშათა პროფესიონალური კავშირიც, მუშათა კოოპერატივიც და ხაავათმყოფო კასსაც, რომელნიც აქ არსებობენ.

კავშირის მდივანი დ. ბუაჩიძე.

## პროვინცია

საჯავახოს მხარე. წელს სიმინდის მოსავალი ბარ-საჯავახოს მიდამოებში (რიონის პირად) საშუალო იყო, მხოლოდ მთა-საჯავახოს მხარეში კი ძალიან ცუდი. მთის ყანები წელს ძლიერ დაზარალა აგვისტოში მოსულ წვიმებმა. ასევე დ ემართა ხილეულობას და განსაკუთრებით ნამყენ ვენახებს. მოუსავლობის გამო ბევრი ოჯახი მთლად ხელცარიელი დარჩა. ნამყენ ვენახებზე უფრო საწუხაროთ გამოდგა ეგრედ წოდებული „ადესის" ვენახი, რომლისგან ზოგიერთმა ოჯახმა მაინც სამყოფი ღვინო მიიღო. ბევრს სოფლელ მეურნეს აზრათ აქვს მოსპოს უნაყოფო ნამყენი ვენახები და მის მაგიერ გააშენოს „იდესა". ღვინობას კიდევ მოითმენს ადამიანი, უპურობა კი აუტანელია ყველასათვის. მთა-საჯავახოელები და მთელი გურია დიდ საგონებელშია ჩავარდნილი მით, რომ მომავალ გაზაფხულიდან შიმშილია მოსალოდნელი. მეტად საჭირო იყო, რომ ხალხს ამ შემოდგომაზე პურის ყანები დაეთესა და ამას არც არავინ დაიზარებდა, რომ სათესლე ხორბალი ყოფილიყო. საჭიროა, მთავრობამ საშუალება მისცეს ხალხს შეიძინოს სათესლე ხორბალი სესხის სახით და ამგვარად გადაარჩინოს გურიის მშრომელი ხალხი აუცილებელ შიმშილობისაგან. მეტად საჭიროა, რომ საერობო ახლად დაწესებულ ორგანოებმა ყურადღება პირველ ყოვლისა ზემოთ ხსენებულ სასურსათო საკითხს მიაქციონ და შიმშილის პირზე მიმდგარ მხარეს განადგურება ააცილონ. მთელ საჯავახოს მხარეში და გურიის ბევრ საზოგადოებაში გავრცელებულია ინფლუენციის მზგავსი რაღაც ავადმყოფობა, რომელიც მუსრს ავლებს მცხოვრებთ. დაუყოვნებლივ საჭიროა მიექცეს ამას სათანადო ყურადღება, საერობო დაწესებულების მიერ, თორემ დაგვიანება დიდ საზოგადოებრივ მწუხარებას მოგვივლენს.

მელქისედეკი.

## განცხადებანი


პეტროგრადის უნივერსიტეტის სტუდენტი

ენების კარგათ მცოდნე, განსაკუთრებით ქართულისა და გერმანულის,

**ამზადებს მოწაფეებს**

გიმნაზიის ყველა კლასისათვის. მისამართის გაგება შეიძლება გაზეთ „შრომის" რედაქციაში, ი. ტატიშვილთან, ბარონის ქუჩა, № 16. (3—3)

---

**დავკარგე** ბილეთი მე ნიკოლოზ გიორგის ძე ბარამიძემ ამა წლის 1918 ს ნოემბრის 15 ს, მნახველს ვსთხოვ ამ მისამართით გამომიგზავნოს: ელისაბედის ქუჩა № 176 ნიკოლოზ ბარამიძეს.

---

კბილის საექიმო კაბინეთები

**თედორე საყვარელის ძე ცხომელიძისა**

ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. მისამართი: კალოუბნის ქუჩა (ყოფილი ბარონის), სახელმწიფო ბანკის პირდაპირ, ტელეფონი 13—35.

---

ექიმი

**დიმიტრი იოსების ძე ჟორდანია**

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება შინაგანი, ხრონიკული მალარია, სისხლნაკლებობა, ვენერიული, ხრონიკული ტრიპერი, საშარდე მილის სივიწროვე სიფილისი და მის შედეგები, 606—914 შეშხაპუნება. მიღება საღ. 5—7 ს. მისამართი: გორის ქ. (დიდუბე) № 6. ტელეფ. 1—04.

---

**ექიმი ნ. დ. ტურიაშვილი**

(მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—5 საათ. შინაგან სნ. ბავშვთა, სქესობრივი და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმონოვიჩის აფთიაქის გვერდით.

---

ექიმი

**იოსებ რაჟდენის ძე ცინცაძე**

ღებულობს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფთ საღამოს 5—7 ს. მიხეილის პრ. № 121, ბინა 4. ტელეფონი 11—06.

---

**ექიმი ვ. გ. [illegible]**

იღებს სალოსტაქრო [illegible] სადამოთ 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 57; აფთიაქთან [illegible] სახ. შინობის პირდაპირ, სახ. [illegible] ტელ. № 5—77.

---

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა

**გ. გ. მეგრაბიანცი**

ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.

შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალინიიდი და არსებულის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

---

ექიმი ნიკოლოზ ივანეს ძე

**მახვილაძე**

იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის პირდაპირ.

---

**ექიმი მ. ა. შაფრანი.**

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება 606 და 914), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავათმყოფების მიღება ყოველდღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების საღამოს 4—5 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლღას ქ. № 33.

---

ექიმი

**ა. ნ. შატილოვი**

იღებს თვალის სნეულებიან ავათმყოფთ საღამოს 4—6 საათ. სემიონოვის ქუჩა, სახ. № 4 (ვორონცოვის ხიდის ახლო).

---

სამკურნალო კაბინეთი

ექიმ ალექსანდრე დავითის ძის

**კეკელიასი**

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავათმყოფებს (914—606-ის შეშხაპუნება). ავათმყოფთა მიღება დილის 9 საათ. 11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე. მიხეილის პროსპექტი, № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. ტელეფონი 14—28.

---

**მიხეილის კერძო სამკურნალო**

მუდმივ საწოლებით. მიხეილის პრ. № 167, ტელ. 11—35. ავათმყოფების მიღება ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე.

ექ. ა. ნ. შატილოვი თვალ. სნეულ. დილ. 9—10 ს., ა. დ. წულუკიძე ქირურგ. და შინაგ. 9—10 ნახ. ს., ი. ნ. ტერ-აკოფოვი ქალ. და საბებიო 10—11 ს., მ. ფ. მგალობლიშვილი ქირ. და ქალ. 11—12 ს., მ. ი. ვაჩნაძე შინაგ. და საბავშვო 11—12 ს., ნ. ა. გამრეკელი შინაგ. და ნერვ. დღის 12—1 ს., ა. პ. წულუკიძე ქირ. და შინაგ. საღ. 5—6 ს., ძ. ვ. ტყეშელაშვილი ტყავისა და ვენერ. 6—7 ს. მასაჟი, ელექტრიზაცია, კანის ქვეშ შეშხაპუნება. 606 და 914 შეშხაპუნება. საავათმყოფოსთან არსებობს სამშობიარო განყოფილება ექ. მ. მგალობლისა და ი. ნ. ტერ-აკოფოვის ხელმძღვანელობით.

---

**ექ. ქალი რ. ნ. შიშლო-ხაბაშვილი**

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედი... მედიკურ-ქირურგიულ კოლეჯისა. იღებს ყოველდღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაბეზით დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. მიხეილის პრ., № 119, სახლი ფურერის. ტელ. 9—26.

---

**ექიმი დ. ი. ჯაფარიძე**

მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. ტელეფონი 16—65

---

**სახელმწიფო თეატრი**

პარასკევს, 22 ნოემბერს, წარმოდგენილი იქნება

**მეორედ**

**შეცვლილი ანსამბლით**

**სარწმუნოება.**

---

**ცენტრალური ბიურო რემინგტონზე მბეჭდავთა**

(ელისაბედის ქუჩა № 39)

ღებულობს ყოველ გვარ საქმის ქაღალდებს, საბეჭდავ მანქანებზე. ქართულ, რუსულ და ლათინურ ენებზე. აქვე მიიღება მოწაფეები ორივე სქესისა. ფასები ყველასთვის ხელმისაწვდომია.

ბიუროს ხელმძღვანელობს ნადია ჭანკვეტაძე.

---

**ცენტრალური სასურსათო საბჭო**

(მადათოვის ქ. № 3 ყოფილი სასურსათო სამინისტრო) ამით აცხადებს საზოგადო დაწესებულებათა და კერძო პირთა საყურადღებოდ, რომ მსურველთ შეუძლიათ შეიძინონ ხსენებულ საბჭოში

**მარცვლოვანი მარილი დაწესებულ ფასებში**

მარილის მიღება შეიძლება ქ. თფილისში და ქ. ფოთში. (10—8)